პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

79

# კომუნისტი

ს. ქ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

24 თებერვალი პარასკევი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქტორი ... ყოველ დღე გარდა ... უქმეებისა დილ. 10 ს.—1 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერთო №

№ 44 პარასკევი, 24 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 24 თებერვალი 1922 წ. № 44

## ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოთა მომწვევი ცენტრალური საარჩევნო

## კომისია

აუწყებს საბჭოს ყველა დელეგატებს, რომ **სრულიათ საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა გაიხსნება ამა წლის 25 თებერვალს დილის 11 საათზე** სახელმწიფო ოპერის შენობაში.

**ცენტრალური საარჩევნო კომისია.**

## სრულიად საქართველოს ყრილობის დელეგატების

## საყურადღებოდ

ცენტრალური საარჩევნო კომისია სთხოვს თბილისში ჩამოსულ საბჭოთა ყრილობის დელეგატებს გამოცხადდნენ სარეგისტრაციოდ საქართველოს რევკომის შენობაში (სასახლე, ოთახი № 22).

**ცენტრალური საარჩევნო კომისია.**

## პარასკევს, 24 ამა თებერვალს,

დღის 12 საათზე, თბილისის ქალაქის ალმასკომის შენობაში შესდგება

## თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის

## სხდომა

ალმასკომის ყველა წევრის გამოცხადება სავალდებულოა.

## გაერთიანებული უმაღლესი ეკონომიური საბჭო

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე ერთხმათ მიღებული გაერთიანებული უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დებულება მეტად ღირსშესანიშნავი და და საგულისხმიეროა.

ჩვენ ვიცით, რომ არა თუ საბჭოთა რესპუბლიკები, რომელთა შორის არავითარი წინააღმდეგობა, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ისინი მშრომელთა და დაჩაგრულთა რესპუბლიკებია, არა მარტო ასეთი რესპუბლიკები აერთიანებენ თავიანთ სამეურნეო ღონისძიებებს ქვეყნის ეკონომიურ წარმატებისა და განვითარებისათვის, არამედ ისეთი ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც კი, როგორიც არსებობენ დღეს დასავლეთ ევროპაში.

ამ მხრივ უკანასკნელ ხანებში გახშირებული სხვადასხვა ეკონომიური ხასიათის კონფერენციები და თათბირები ამის აშკარა მაჩვენებელი და დამამტკიცებელია. ისინი აშკარათ ხედავენ, თუ რა საშინელია ის ეკონომიური კრიზისი და არევ-დარევა, რომელიც გამეფა ქვეყნიერობაზე ოთხი წლის უმაგალითო იმპერიალისტურმა ომმა, და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეერთებული ძალებით, სხვადასხვა ინტერსახელმწიფოებრივი ეკონომიური საბჭოების დაარსებით გამოიყვანონ კაპიტალისტური მსოფლიო საშინელ სამეურნეო ქაოსიდან.

და თუ ევროპის კაპიტალისტები ასეთ ღონისძიებებს მიმართავენ, საერთო ეკონომიური გეგმის გამომუშავებას ცდილობენ, მაშინ რაღა ითქმის ამიერ-კავკასიის იმ საბჭოთა რესპუბლიკებზე, რომლებისათვის გაცილებით უფრო საჭიროა ასეთი გაერთიანება, მით უფრო, რომ ისინი ფაქტიურათ ერთ განუყრელ ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენენ. ამას ყველა მომაკვდავი გრძნობს, როგორი სასტიკი მოწინააღმდეგეც არ უნდა იყოს ის ასეთი ეკონომიური ძალღონის გაერთიანების, და მას გარეთ თუ არ ამჟღავნებს, გულის სიღრმეში მაინც ატარებს, ვინაიდან ასეთია ულმობელი სინამდვილე, რომელიც ანგარიშს არ უწევს ადამიანის ნებასურვილებს.

ამას ერთ დროს ჩვენი მენშევიკებიც კი აღიარებდნენ აშკარათ და უშიშრათ, სანამ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ სავსებით მოწამლული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის უსაშინელეს შხამით, და არა თუ აღიარებენ მარტო, არამედ იფლშიაც იწურებოდნენ და გააფთრებით უმტკიცებდენ ქართველ ხალხს ამ ანბანურ ჭეშმარიტებას, სახელდობრ, იმას, რომ საქართველო არ წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულს, რომ ის ათასგვარი უხილავი ძაფებითაა გადანასკვული ეკონომიურათ მთელ ამიერ-კავკასიაზე და მისი არსებობა ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლათ ყოვლათ წარმოუდგენელი და შეუძლებელიაო. ამ შემთხვევაში ისინი სავსებით მართალი იყვნენ, ვინაიდან ფაქტს, ცოცხალ სინამდვილეს, გარეგნულ გამოხატულებას აძლევდნენ მხოლოდ, თუმცა შემდეგ, როდესაც სავსებით ჩამოშორდენ მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლას და გადაბარგდენ ბურჟუაზიისა და მემამულეების კონტრრევოლიუციონურ ბანაკში, ზურგი შეაქციეს ამ ჭეშმარიტ სინამდვილეს და მოინდომეს მისთვის უშედეგო ბრძოლის გამოცხადება.

დღეს, როდესაც ხელისუფლების სათავეში ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა მოექცა, რომლებიც უაღრესათ არიან დაინტერესებული ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინება-წარმატებაში, რომლებისათვის უცხოა ეროვნული შუღლი და მტრობა, დღეს პრაქტიკულათ იჭრება ჩვენს წინაშე ეს გადაუდებელი საკითხი—ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ძალღონის მტკიცე და ურყეველი გაერთიანება და ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების რევოლიუციონურ მუშებსა და გლეხების ამ მოწინავე ავანგარდის ყრილობაც სასურველათ სჭრის მას. ის ერთხმათ ღებულობს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებულ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დებულებას, და მით ერთგვარ საფუძველს უყრის ამ რესპუბლიკათა ეკონომიურ გაერთიანებას მუშებისა და ღარიბი გლეხების სასარგებლოთ, რომელთა სრულუფლებიანმა ყრილობებმაც ცალკე რესპუბლიკებში უნდა დაასრულონ მასზე ურყეველი ეკონომიური შენობის აგება.

რასაკვირველია ეს ეკონომიურ ღონისძიებათა გაერთიანება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს და ამიერ-კავკასიის დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, როგორც ეს უნდათ მუშებისა და საზოგადოთ მშრომელი მასების აშკარა თუ ფარულ მტრებს მოაჩვენონ შეუგნებელ ჩამორჩენილ მასას, პირიქით ეს კიდევ უფრო მტკიცედ ხდის ამ რესპუბლიკების არსებობასა და კეთილდღეობას, ვინაიდან ის უმაგრებს მათ იმ მთავარ ფუძეს, ურომლისოთაც ფუჭი და მოჩვენებითია თითეული საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და არსებობა, უმაგრებს მათ ეკონომიურ წელს, რომელიც ასეა შესუსტებული დღეს ჯერ ერთი იმპერიალისტური ომისა და შემდეგ სამოქალაქო ომების წყალობით.

თუ რა უფლებებითა და ფუნქციებით უნდა იქნეს აღჭურვილი ეს უმაღლესი ეკონომიური საბჭო, თუ რას მიიღებს ამიერ-კავკასიის თითეული საბჭოთა რესპუბლიკა თავის სრულუფლებიან საბჭოთა ყრილობაზე, რაშიაც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება,—ეს მკაფიოთ და ნათლად არის აღნუსხული ამ საბჭოს დებულებაში, რომელიც იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთში, და რომელიც ამბობს, რომ ის „არსდება ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკათა ყველა ეკონომიურ ორგანოების მუშაობის გასაერთიანებლათ“.

**ს. ანდრიაძე.**

## საფრანგეთის ახალი პოზიცია რუსეთის საკითხში

უკანასკნელ ცნობების მიხედვით საფრანგეთის მმართველ წრეებში ხდება თითქმის რადიკალური გარდატეხა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში. გერმანიის და ინგლისის რადიო-ცნობები იმასაც ამბობენ, რომ საფრანგეთის მთავრობასა და რ. ს. ს. რ. წარმომადგენელთა შორის სწარმოებს მოლაპარაკება. რუსეთის წარმომადგენლათ ამ მოლაპარაკებაში ასახელებენ საბჭოთა სავაჭრო მისიის თავმჯდომარეს საფრანგეთში ამხ. სკობელევს (ყოფილი შრომის მინისტრი კერენსკის მთავრობაში). ჩვენ არ ვიცით მართლა დაიწყო ეს მოლაპარაკება თუ არა, და თუ დაიწყო რა ხასიათი აქვს ამ მოლაპარაკებას, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი ჯერ-ჯერობით ამის შესახებ ოფიციალურად ცნობებს არ იძლევა. ყოველ შემთხვევაში—ეს მოლაპარაკება დაიწყო, თუ არა—ცხადი და ნათელი არის ერთი რამ, სახელდობრ, საფრანგეთის მმართველ წრეების ახალი პოზიცია საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებაში. და ეს ახალი პოზიცია მით უფრო საინტერესო და სიმპტომატიურია, რომ იგი სწორედ საფრანგეთის ბურჟუაზიიდან გამოდის, იმ ბურჟუაზიისგან, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა რუსეთის ყველაზე უფრო დაუძინებელ და შეურიგებელ მტერად, რომელმაც უცერემონიოდ მოსტეხა კისერი თავის „საყვარელ“ შვილს ბრიანს კანის კონფერენციაზე რუსეთის საკითხში მის მიერ აღებულ ხაზის გამო, რომელიც ყოველ ღონეს მიმართავდა გენუას კონფერენციის ჩასაშლელად და რომელიც თავისი შეურიგებელი პოზიციის სადემონსტრაციოდ საფრანგეთის პოლიტიკის მეთაურად აყენებს უკიდურეს რეაქციონერს და საბჭოთა რუსეთის დაუძინებელ მტერს რეიმონდ პუანკარეს, იზვოლსკის და საზონოვის პირად მეგობარს და ამხანაგს...

და აი ეს ბურჟუაზია დღეს ზურგს აბრუნებს თავის გუშინდელ სამოქმედო გეზს საბჭოთა რუსეთის მიმართ და ახალ პოზიციას იჭერს.

გაზეთი „ტანი“ საფრანგეთის ბურჟუაზიის ორგანო ასე ახასიათებს თავისი კლასის ახალ პოზიციას რუსეთის საკითხში და ამ პოზიციის „გამამართლებელ“ საბუთებს:

1) ბოლშევიზმი, როგორც თეორია უკვე არ არსებობს და საბჭოთა დელეგატებს არ შეეძლებათ გენუაში აწარმოვონ ის პროპაგანდა, რომელსაც ადგილი ქონდა ბრესტ—ლიტოვსკში.

2) **რუსეთის შინაური წესწყობილება სრულიადაც არ ეხება ევროპას და არც ერთი ევროპიული სახელმწიფო არ ეცდება მოახვიოს რუსეთს ესა თუ ის მართველობის ფორმა;**

3) როგორც ეტყობა საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევს წითელ არმიას. მაგრამ ევროპას ფაქტიურად არ შეუძლია აიძულოს რუსეთი განიარაღებაზე...

4) **ბოლშევიკური რუსეთი არის ნაციონალური რუსეთი.. დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ რუსეთის ნაციონალური ინტერესები არსად არ ეწინააღმდეგებიან საფრანგეთის ნაციონალურ ინტერესებს...**

5 რუსეთის ვალების საკითხი არის წმინდა ფინანსიური საკითხი... რომლების გადაჭრაში დაინტერესებულია თვით რუსეთი, რადგან რუსეთისათვის საჭირო კრედიტების გაღება დამოკიდებული იქნება ამ საკითხზე“.

ასე სწერს გაზეთი „ტანი“... ამის შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება... ახლო წარსულის მოგონებაც და სხ. მაგრამ ეს ახლა საინტერესო არ არის. საინტერესო ის არის, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის დღეს რუსეთის შინაური საქმეები—რუსეთის და მხოლოდ რუსეთის შინაური საქმეებია, რომ ბოლშევიკური რუსეთი, ეს ერთად ერთი რუსეთია, რომ მის გარდა სხვა რუსეთი არ არსებობს, რომ შესაძლებელია რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმება, ვინაიდან „ამ ქვეყნის ინტერესები ერთი-მეორეს არსად არ ეწინააღმდეგებიან“, რაიც თურმე დიდი ხანია, რაც დამტკიცებული ყოფილა და სხვ.

საფრანგეთის ბურჟუაზიის ოფიციალურ ორგანოს მოწინავეში ასეთი აზრები შეიძლება ჩაითვალოს თითქმის „რევოლიუციად“. ზერელე შეხედვით პუანკარეს ასეთი „გამემარცხენება“ რაღაც წარმოუდგენელი რამ უნდა იყოს. მაგრამ თუ კი გავითვალისწინებთ იმას, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა უკანასკნელ ევროპის სახელმწიფოებში საბჭოთა რუსეთის გარშემო, განსაკუთრებით ინგლისში და იტალიაში, აგრეთვე რუსეთ-გერმანიის ეკონომიურ შეთანხმებას და შესაძლებელ პოლიტიკურსაც, რაიც პირველად ყოვლისა და უმთავრესად მიმართული იქნებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ, ამასთანავე სრულ კრახს საფრანგეთის ბურჟუაზიის ცდისას, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის მოწყობის საქმეში, გასაგები იქნება ის, რომ საფრანგეთს სხვა გამოსავალი გზა არ ქონდა, გარდა თავისი ძველი შეურიგებელი პოზიციის შეცვლისა. და ისიც ასე მოიქცა. კაპიტალისტები პრაქტიკის და მოგების ხალხია. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ხმალი და ტყვიისმფრქვეველი გამოუსადეგი იარაღები გამოდგა. მისი ადგილი დაიკავა ბრძოლის სხვა იარაღებმა: დიპლომატიამ, მოლაპარაკებამ, „შეთანხმებამ“, დათმობებმა და სხვა... ამ იარაღებით მოელიან საფრანგეთის კაპიტალისტები იმ მოგების ნახვას, რომელიც მათ ვერ მოიპოვეს ინტერვენციის და ... საშუალებებით.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის მეთაურებმაც „ისწავლეს“ საკმაოდ ამ ოთხ-ნახევარ წლის განმავლობაში საკითხების აგრეთვე „პრაქტიკის“ და „მოგების“ თვალთახედვით დასმა, ამიტომ ისინიც შეეცდებიან ისარგებლონ და რაც შეიძლება ფართედ და სრულად იმ ახალი პოზიციით, რომელიც დაიკავა საფრანგეთის კაპიტალისტებმა საბჭოთა რუსეთის საკითხში.

მოსკოვის „იზვესტია“ სწერს შესაფერი ტონით: „საბჭოთა რუსეთი არ უარყოფს საფრანგეთთან შეთანხმებას“..

პირიქით, საფრანგეთთან შეთანხმება ხელსაყრელია რუსეთისთვის ბევრი სხვა თვალსაზრისითაც. მაგრამ იმისათვის, რომ ეს საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმება თეორიული მსჯელობიდან იქცეს რეალურ ფაქტად, ამისათვის საჭიროა საფრანგეთის მმართველ წრეებმა უარყონ უკანასკნელი ყალბი წარმოდგენა საბჭოთა რუსეთზე და მიხვდენ საბოლოოდ, რომ საბჭოთა მთავრობა ნამდვილად იცავს რუსეთის ხალხის ინტერესებს და, მაშასადამე, ანგარიშს უწევს ამ ხალხის კანონიერ მოთხოვნილებებს, რომლების უკან წაღება მას არ შეუძლია, რადგან ეს იქნებოდა დარღვევა იმ ინტერესებისა, რომელთა დაცვა მას მიანდო რუსეთის ხალხმა“.

ჩვენ ვფიქრობთ და დარწმუნებული ვართ, რომ შექმნილი მდგომარეობა საბჭოთა მთავრობას საშუალებას მისცემს რუსეთის ხალხის „კანონიერ“ ინტერესების დაცვისას.

დარწმუნებული ვართ, რადგან ისტორია, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ჩვენს სასარგებლოთ მუშაობს.

**ვ ბახტაძე.**

## საბჭოთა ხელისუფლება და ფინანსები

(დასასრული იხ. „კომ.“ № 43)

**4. არაპირდაპირი გადასახადები.**

არა პირდაპირ გადასახადთა ერთ ერთი სახე არის აქციზი ანუ სააქციზო გადასახადი, რომელიც იმით განსხვავდება პირდაპირ გადასახადისაგან, რომ მას იხდის არა განსაზღვრული პიროვნება, არამედ მომხმარებელი საზოგადოთ. აქციზი ჩვენში დადებულია არა პირველ მოთხოვნილების საგნებზე (როგორც არის შაქარი, ნავთი და სხვა) არამედ არა პირველ მოთხოვნილების ფართე სახმარებელ საგნებზე, მაგალითად მაგარ სასმელზე, თუთუნზე, პაპიროსზე, პაპიროსის ქაღალდზე, გილზზე და სხვა.

რუსეთში აქციზი პირველად შემოღებულ იქნა მეთექვსმეტე საუკუნეში ხორცზე (საქონლის დაკვლისას) და მე-17-ე საუკუნეში მარილზე. აქციზი არსებობს ყველა სახელმწიფოებში, როგორც ევროპის ისე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. რუსეთში მეფის დროს აქციზი ედვა: მაგარ სასმელებს, თამბაქოს, ჩაის, საფუარს, ნავთს, წუმწუმას, პაპიროსის ქაღალდს და გილზს. საქართველოში მენშევიკების დროს ყველაფერზე გარდა შაქრისა და საფუარისა დატოვებულ იქნა სააქციზო გადასახადი.

საბჭოთა ხელის-უფლების დეკრეტით გაუქმებულია აქციზი შაქარზე და ნავთის პროდუქტებზე. გაუქმებულია მონოპოლია თამბაქოზე, რამაც კინაღამ მოსპო მენშევიკების დროს თამბაქოს კულტურა. თვით სააქციზო გადასახადი საქართველოში ახალი ხელის უფლების დროს ისე მცირეა, რომ სრულიად არავითარ სიმძიმეს არ შეადგენს მუშებისა და მშრომელი გლეხობისათვის. აქციზი ჩვენში გაცილებით მცირეა არა თუ ომის წინანდელ დროსთან შედარებით, ამაზედ ამ ჟამად საბჭოთა რუსეთთან შედარებითაც. მაგალითად რუსეთში 1 გირ. თამბაქოზე აქციზია 38.000 მან. ჩვენში 8300 მან. 1000 პაპიროზზე 54.000 მან. ჩვენში 18 ათასი მან. ერთ ვედრო ღვინოზე იქ 240.000 მან. ჩვენში 16,000 მ. სულ აქციზისგან შემოსავალი ნავარაუდევია 80 მილიარდი.

**საბაჟოები.**

რომაელთა მითოლოგიით ძველი რომის დამაარსებელ პირველმა მეფემ რომულოსმა თავის ძმა რემოს მაშინ მოკლა, როდესაც უკანასკნელმა გადაახტა თხრილს, რომელიც შემოვლებული ჰქონდა რომს. აი თითქმის აქედან იწყება განსაკუთრებით ეკონომიური ომები; ყველა სახელმწიფო ერთეული ცდილობს თავის საზღვრების დაცვას, როგორც ეკონომიურად აგრეთვე პოლიტიკურად. საზღვრების ეკონომიურმა დაცვამ წარმოშვა საბაჟოები და მათი პოლიტიკა.

რა არის საბაჟო?

საბაჟო ის დაწესებულებაა, რომელსაც დავალებული აქვს, განსაზღვრულ სახელმწიფოში საქონლის შემოტანა-გატანის მოწესრიგება—აღნუსხვა. მაშასადამე იმათვე სახელმწიფოთა შორის არსებული ეკონომიური კავშირი და ურთიერთობა ერთ მიზანს ემსახურებოდა. ყველა სახელმწიფო სცდილობდა რაც შეიძლება მეტი გაეტანა საზ.-გარედ თავისი საქონელი და იქიდან კი რაც შეიძლება ნაკლები შემოეტანა და ისიც მხოლოდ მისთვის უსაჭიროესი საქონელი, ე. ი. ყველა სახელმწიფო სცდილობდა ჰქონოდა მას ეგრეთ წოდებული აქტიური სავაჭრო ბალანსი.

თუ ჩვენ განვიხილავთ მეფის დროინდელ რუსეთის საბაჟო პოლიტიკას და მის ტარიფებს, დავინახავთ, რომ ყოფილ რუსეთის იმპერიის საბაჟო პოლიტიკას ნათლად აზის ბეჭედი, როგორც იმ წესწყობილებისა, რომელშიაც იგი შეიქმნა ისე მისი ეკონომიური ვითარების და იმ საერთაშორისო მდგომარეობის და ურთიერთობისა, რომელშიაც იგი იმყოფებოდა.

ძველი რუსეთი სცდილობდა კონკურენცია გაეწია თავისი ნაწარმოებით სხვა ქვეყნის ნაწარმოებისთვის და ამისთვის ადგა პროტექციონიზმის სისტემას და მრავალ გვარ შეღავათს და უპირატესობას აძლევდა იმ მექარხნე მეფაბრიკეთ, რომლებიც მოისურვებდენ თავიანთ საქონლის საზღვარგარეთ გატანას. მეორეს მხრივ, გამომუშავებული იყო კანონმდებლობა, რომლის ძალით განსაკუთრებული სასჯელი ედებოდა იმ პირთ, ვინც კონტრაბანდულად შემოიტანდა ამა თუ იმ აკრძალულ საქონელს. აქაც ის მოწადინებული იყო ზოგიერთი საქონელი უცხოეთიდან სრულებით არ შემოსულიყო და ადგილობრივ წარმოებისთვის კონკურენცია არ გაეწია.

მაგრამ მსოფლიო ომმა და შემდეგ რევოლიუციამ თითქმის სავსებით მოსპო და გაანადგურა სახელმწიფოთა შორის არსებული ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობა და ურთიერთობა, რითაც თითქმის სრულიად გაუქმდა ის ძლევა-მოსილი ეკონომიური კანონები, რომელნიც ამოძრავებდნენ მსოფლიო ... მიმოქცევას და ქმნიდნენ ეკონომიური ურთიერთობის საფუძველს.

ასეთ ხანაში ყველა სახელმწიფო ვალდებული იყო თავისი საშინაო და საგარეო ეკონომიური პოლიტიკა შეთანხმებია ამ ცვლილებათ პირობებთან.

ახალი საგარეო ვაჭრობის ფორმა თითქმის ყველა სახელმწიფოებისთვის ერთი და იგივე გახდა: გაიტანონ საზღვარ გარეთ ის საქონელი, რომელიც ზედმეტი მოეპოვება მას და გაყიდოს, რათა აღებული ფულით შეისყიდოს მისთვის აუცილებელ საჭიროების ნაწარმოები.

ამ ახალ საგარეო ვაჭრობის ფორმას, მენშევიკური მთავრობაც მოებღაუჭა და ამ მიზნით გამოცხადებულ იქნა მონოპოლია თამბაქოზე, მატყლზე, ჯაგარზე, აბრეშუმის პარკზე, აბრეშუმის ძაფზე და სხვა...

სასურსათო კომიტეტი, საქონლის გამცვლელი კომიტეტი, მომარაგების საბჭო და მომარაგების სამინისტრო აი ის ორგანოები, რომლებიც შექმნეს მენშევიკებმა ამ ახალ საგარეო ვაჭრობის საწარმოებლად, მაგრამ ყველას კარგათ მოეხსენება, თუ როგორ სამარცხვინოთ შეასრულეს ნახსენებმა უწყებებმა მათზე დაკისრებული მოვალეობა.

მენშევიკურ მთავრობას, როგორც ყოველთვის, აქაც დაავიწყდა ერთი მთავარი რამ, სახელდობრ ის, რომ მონოპოლიის გამოცხადებით არ გაუმჯობესდებოდა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, არამედ საჭირო იყო ამ მონოპოლიის სახელმწიფოსათვის გამოყენება, ე.ი. საჭირო იყო ამ მონოპოლიით საქონლის გასაღება იქ, სადაც მისი მომხმარებელია ე. ი. იქ, სადაც მეტს ფასობს, და შესყიდვა საქართველოსთვის საჭირო საქონლისა იქ, სადაც ამ საქონელს აზიდებენ ე. ი. სადაც ეს საქონელი ნაკლებ ფასობს.

მენშევიკების მთავრობა სწორეთ წინააღმდეგს ჩადიოდა: მონოპოლიურ საქონელს ყიდდა იქ, სადაც ის მეტად იაფი იყო და საქართველოსთვის საჭირო საქონელს ყიდულობდა იქვე, სადაც ის მეტად ძვირი იყო. ამგვარად, პრინციპი მონოპოლიის და საგარეო ვაჭრობის ფორმისა მენშევიკების ხელში სრულიად გაკოტრდა.

როგორია დღევანდელი საქართველოს საბჭოთა მთავრობის საბაჟო პოლიტიკა?

უპირველეს ყოვლისა ყოველგვარ შემოსატან სურსათ სანოვაგეზე (ხორბალი, ფქვილი, ნავთი, შაქარი და სხვა) ბაჟი სრულებით არ არსებობს, რომ აძლიოს ყველას, ვინც კი მოისურვებს, გაუადვილოთ ამ ჩვენთვის მეტად საჭირო საქონლის შემოტანა და საბაჟო ტარიფის მოხსნით წავაქალისოთ მეტ ს შემოზიდვაზე.

მოხსნილია აგრეთვე შემოსატანი ბაჟი პირველ საჭიროების საყოველთაო საქონელზე, (ჩითი, ნარმა, იაფი მაუდი, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მანქანები, რკინა, ფოლადი და სხვა). აქაც იმავე მიზნით, როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი.

განთავისუფლებულია გასატან ბაჟისაგან ისეთი საქონელი, რომელიც ადგილობრივ ფაბრიკატს ან ნახევარ ფაბრიკატს წარმოადგენს (ცეცხლგამძლე აგური, თიხა, საღებავი, ბორჯომის წყალი, დაჭრილი თამბაქო, პაპიროსები, ადგილობრივ შუშის ქარხნების ნაწარმოებები და სხვა).

ეს იმ მიზნით, რომ ადგილობრივ ნაწარმოების უცხოეთში გასაღებას ხელი შეეწყოს და მით განვავითაროთ მრეწველობა.

აკრძალულია შემოსატანათ ყოველგვარი ფუფუნების საქონელი, რომელიც არ შეადგენს უმრავლესობის საჭიროებას და რომლით სარგებლობა შეუძლიან მხოლოდ შეძლებულ კლასს (აბრეშუმეულობა, ხავერდი სხვადასხვა პარფიუმერია და ყოველგვარი კოსმეტიკა, ძვირფასი ფართლეულობა და სხვა.

აკრძალულია გასატანათ და მხოლოდ მთავრობის ორგანოებს შეუძლიან მათი გატანა—მონოპოლიები საქონლების (აბრეშუმის პარკი, მატყლი, მარგანეცი და ზოგიერთი სხვა).

ხოლო დანარჩენ საქონელზე არსებობს საერთაშორისო ბაზრის ფასებზე შეთანხმებული გასატან შემოსატანი ბაჟი და ყველას, ვინც კი მოისურვებს შეუძლია მათი გატანა-შემოტანა.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიურ პირობებში არსებობს ორგვარი საქონლის გაცვლის ნორმა: პირველი, როდესაც უცხოეთის საქონელი შემოდის ჩვენში და ჩვენ იძულებული ვართ ვიყიდოთ ეს საქონელი ადგილობრივი ბაზრის ფასებში, სამაგიეროთ საქონლის შემომტანი, ჩვენ საქონელს იძენს აქაურ ფასებში. ეს ფორმა საქონლის გაცვლისა სავსებით საზარალოა ჩვენთვის და სწორეთ ამ ფორმას აწარმოებდა მენშევიკური მთავრობა.

მეორე: როდესაც ჩვენ საქონელს ვასაღებთ იმ ფასებში უცხოეთის ბაზარზე, რომელიც იქ არსებობს სამაგიეროთ შემოსატან საქონელს ვყიდულობთ იმ ფასებში, რომლებიც იქ არსებობენ, სადაც ჩვენ მათ ვიძენთ. ეს ფორმა საქონლის გაცვლისა დღევანდელ პირობებში იდეალურად უნდა ჩაითვალოს.

აი ის მთავარი განსხვავება, რაც არსებობს საბჭოთა სახელმწიფოს და სხვადასხვა სახელმწიფოთა საბაჟო პოლიტიკაში და განსაკუთრებით ჩვენსა და მენშევიკების შორის.

საბაჟოების შემოსავლიდან სახელმწიფო ხაზინა მოელის დაახლოვებით 60 მილიარდ მანეთს.

**ბარონი.**

# დებულება უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შესახებ*

ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკების ყველა ეკონომიურ ორგანოთა მუშაობის გასაერთიანებლათ არსდება „უმაღლესი ეკონომიური საბჭო", რომელიც მოქმედებს იმავე უფლებებით, როგორითაც საკავშირო საბჭოს მუდმივი კომისია.

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობაში შედიან მის თავმჯდომარის უფლებით, საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, და წევრების უფლებით—ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკების სამხედრო-საზღვაო საქმეთა, ფინანსების, გზათა მიმოსვლის, საგარეო ვაჭრობის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრები, ეკონომიურ საბჭოთა წარმომადგენლები და ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელი.

**A) უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ფუნქციები.**

1. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს კომპენტენციაში შედის:

ა) ეკონომიურ საბჭოთა მიერ წარმოდგენილ რესპუბლიკების სამეურნეო გეგმების განხილვა დ შეთანხმება და ამ ნიადაგზე ფედერაციის ერთიან სამეურნეო გეგმის გამომუშავება, და აგრეთვე თვალყურის დევნება მის განხორციელებაზე; ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების ცხოვრებაში გატარება საერთო კავკასიის მასშტაბში.

ბ) საერთო საკანონმდებლო ნორმების გამომუშავება მრეწველობის განვითარებასა და რეგულიაციის დარგში, და აგრეთვე საერთო მნიშვნელობის პრინციპიალურ კითხვების განხილვა და გადაწყვეტა ამ დარგში. ინიციატივის გამოჩენა არსებულ სამრეწველო დაწესებულებათა განვითარების საქმეში და ახალი დაწესებულებების მოწყობაში. სტატისტიკის საერთო წესის შემოღება. სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშიანობის საერთო ფორმების დაწესება.

ვ) მოკავშირე რესპუბლიკების სავაჭრო პოლიტიკისათვის საერთო მიმართულების მიცემა და შეთანხმება, კერძოთ: საერთო კითხვების, რომლებიც ეხება კერძო ვაჭრობის რეგულიაციასა და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობას კავშირის ტერიტორიაზე; საბჭოთა ორგანიზაციებს სავაჭრო ოპერაციებისათვის წესების გამომუშავება; კითხვები, რომლებიც ეხება საგარეო ვაჭრობის რეგულიაციისა და, მათ რიცხვში სადამოჟნო პოლიტიკა; საბჭოთა რესპუბლიკებისა და სხვა ქვეყნებთან ეკონომიურ შეთანხმებათა მომზადებას; საერთო თვალყურის დევნება სავალიუტო ნედლი მასალის სახელმწიფო დამზადებაზე; განხილვა კითხვებისა მონოპოლიის დაწესების შესახებ.

г) ფინანსიური პოლიტიკისთვის საერთო მიმართულების მიცემა; საერთო საკავშირო ბიუჯეტის განხილვა; მტკიცე ბიუჯეტის გამომუშავების პრინციპების დაწესება; ყველა გადასახადების მოგვარება; საბანკო დაწესებულებათა მოწყობა; რესპუბლიკებს შორის და თითოეულ რესპუბლიკის შიგნით სახელმწიფო დაწესებულებათა შორის ურთიერთ ანგარიშის გასწორების წესები და ფორმების დაწესება; საემისიო საკითხები.

д) მოკავშირე რესპუბლიკებისათვის სასურსათო პროექტებისა და ფართო მოსახმარი საგნების გეგმიანი დამზადების განხილვა დ შეთანხმება. პრინციპების განხილვა და დაწესება განაწილების კითხვების შესახებ, როგორც ცალკე რესპუბლიკების შიგნით, ისე რესპუბლიკებს შორისაც; დავალების მიცემა ზემოდ აღნიშნულ დამზადებათა შესახებ გარეშე ბაზარზე.

е) რკინის გზის, წყლის და სხვა სახის ტრანსპორტის გამაუმჯობესებელ მუშაობისათვის საერთო მიმართულების მიცემა, გადაზიდვის გეგმების დამტკიცება და საბარგო და სახალხო მოძრაობისა და გადაზიდვის ტარიფების საერთო რეგულიაცია; კავშირის საკითხები.

ვ) სასოფლო მეურნეობის კულტურის აწევა; მელიორაცია, სატყეო მეურნეობა.

и) ყველა რესპუბლიკათა რესურსების (სათბობი და ნედლი მასალა და სხვ.) აღნუსხვა; საერთო ფედერალური ფონდის შექმნის წესისა და საფუძვლების დაწესება, ამ ფონდის განაწილება ყველა რესპუბლიკებს შორის და ფედერაციის ერთიან სამეურნეო გეგმასთან შეფარდებით; რესპუბლიკების დანარჩენი რესურსების განაწილება სამეურნეო ანგარიშიანობის საფუძვლებზე საერთოდ რესპუბლიკებსა და კერძოთ საწარმოვო დაწესებულებებს შორის; ცალკე რესპუბლიკების საჭიროებათა აღნუსხვა სა-

[illegible]

i) [illegible]

К) [illegible]

**B) უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს აპარატის ორგანიზაცია.**

2. [illegible]

3. [illegible]

ტრალურ საბჭოს კავბიუროს წარმომადგენელს, რომელიც შედის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს პლენუმის შემადგენლობაში.

4. იმ ამოცანათა პრაქტიკულ განხორციელებისათვის, რომლებიც ნაჩვენებია ამ დებულების A მუხლში, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არს-

[illegible]

5. [illegible]

6. [illegible]

7. [illegible]

რიგს, და აგრეთვე იმ კითხვებსაც, რომლის შესახებაც აქვს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ხელმძღვანელი დირექტივები.

---

*) მიღებულია ამიერ კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების 1-ლი ყრილობის მიერ.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

### სრულიად რუსეთის ც. ა. კ. დადგენილება

მოსკოვი, „პრავდა"-ს № 80 [illegible]

[illegible]

თვალისწინებულ [illegible] გორც რესპუბლიკების და ოლქების სხვა გაერთიანებული კომისარიატები. 5) აღმასკომების პოლიტ-განყოფილებები ჰოქმედებენ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი. 6) სახელ-

[illegible]

ლიაციის ნებართვას, თუ ამას მოითხოვს საქმის განსაკუთრებული გარემოება, ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ც. აღ. კომ. პრეზიდიუმის მიერ, ან აგზავნიან საქმეს სასამართლოში, ამასთანავე განვლილი დრო ჩაითვლება დაპატიმრებულს.

# ერთიანი მუშათა ფრონტი

„მდგომარეობა მოითხოვს საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანებას, ერთიანი ფრონტის შექმნას ყველა პარტიებისგან, რომლებიც ეყრდნობიან პროლეტარიატს, მათ შორის აზრთა სხვა და სხვაობის დამოუკიდებლათ, რამდენათაც კი სურთ ბრძოლა პროლეტარიატის უახლოეს გადაუდობელ საჭიროებათათვის"...

ასე მიმართავს კომუნისტური ინტერნაციონალი და წითელი პროფინტერნი ყველა ქვეყნის პროლეტარებს.

ერთი, შეხვედით ეს შეიძლება მოგვეჩვენოს კომუნისტების კაპიტულიაციათ საერთაშორისო მენშევიზმის წინაშე, მის გაკოტრებათ და დაცემათ, როგორც ნიადაგ შერყეულის, მაგრამ ეს მხოლოთ ერთი და ზერელე შეხედვით, და ამიტომ ასეთ დასკვნებს დიდი ფასიც არა აქვს, ვინაიდან ასეთნაირი შეხედულება კომუნისტური ინტერნაციონალის ამ ახლად გადადგმულ ტაქტიკურ ნაბიჯზე ისეა დაშორებული ჭეშმარიტ სინამდვილესაგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

და მართლაც განა კომუნისტები პრინციპიალურათ წინააღმდეგი იყვნენ მუდამ ამ ერთიანი ფრონტის? განა ისინი არა კომუნისტებისაგან მუდამ გამიჯვნისა და გათიშვის მოციქულები იყვნენ და არ გამოდიოდენ არასოდეს ერთიანი მუშათა ფრონტის მომხრეთ როგორც ამას გაჰკივიან სხვადასხვა ჯურის მენშევიკები? სრულიადაც არა, და ამას ამტკიცებს ჩვენი კომუნისტური პარტიის, რომელიც დიდი ხანია, რაც არსებობს, მთელი ისტორია. ეს ისტორია კი გვეუბნება სრულს ამის წინააღმდეგს, სახელდობრ იმას, რომ ჩვენი პარტიის, ბოლშევიკური პარტიის არსებობის ცხრამეტი წლის განმავლობაში რუსეთში ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ გაერთიანებული და ნახევრათ გაერთიანებული ოპორტიუნისტ მენშევიკებთან. 1903 წ. შემდეგ, როდესაც რასკოლი მოხდა, 1905 წ. ისევ გაერთიანებას ქონდა ადგილი მენშევიკებთან, ხოლო 1906 წ. „გაერთიანებული ყრილობასაც" კი ქ. სტოკჰოლმში. წარმოიდგინეთ 1917 წელში, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, იყო ცდა გაერთიანებული ყრილობის მოწვევის. აქედან ნათლად სჩანს, თუ რამდენათ არიან მართალი ისინი, რომლებიც გვსახავენ ჩვენ მუდმივ რასკოლნიკებათ და გამთიშველებათ და რა მყრალი სუნი უდის მათ ასეთ მტკიცებას. მართალია ჩვენ ხანდისხან რასკოლსაც და გათიშვასაც ვახდენდით, მაგრამ ამავე დროს ხანდისხან კიდევაც ვერთიანდებოდით; ყოველი ჩვენი ასეთი ქცევა დამოკიდებული იყო შექმნილ პირობებსა და გარემოებებზე. ჩვენ არასდროს არ გვქონებია პრინციპათ აღებული: რაკი გავითიშეთ, არასდროს არ გავერთიანდეთ, ან რაკი გავერთიანდით აღარ გავითიშოთ. პირიქით ჩვენი მსჯელობა და აზრი არ ეგუება ასეთ პრინციპს. მასთან ერთად ასეთი გაერთიანება არ გულისხმობდა უსათუოთ ორგანიზაციულათ გათქვეფასა და ყოველგვარი დამოუკიდებლობის დაკარგვას პროპაგანდისა და აგიტაციის გაწევის და ოპორტიუნისტების მხილების საქმეებში. საჭირო გვახსოვდეს ეს, ვინაიდან ერთიანი მუშათა ფრონტი კომუნისტური ინტერნაციონალის ეს დღევანდელი ახალი ტაქტიკა სრულიადაც არ გულისხმობს ორგანიზაციულათ გაერთიანებას მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალთან.

ამ გვარათ ჩვენ დავინახეთ, რომ ერთიანი ფრონტის ლოზუნგი ეს არაა ახალი უჩვეულო რამ ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, რომ მას ვაყენებთ ჩვენ დროისა და პირობების მიხედვით და მაშასადამე ამაში არაფერი კაპიტულაცია არ შეიძლება იყოს. ხოლო რაკი ეს ახალი ტაქტიკა გამოწვეულია შექმნილ მდგომარეობის გამო და ნაკარნახევი მის მიერ, საჭიროა გამორკვევა სწორეთ ამ პირობებისა და გარემოებების და იმისაც, თუ რა ფასი აქვს ამ ერთიან ფრონტს და რა დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია მას.

**1. მსოფლიო რევოლიუციის განვითარება.**

საერთაშორისო იმპერიალისტური ომის მიწურულში მსოფლიო რევოლიუციონური მუშათა მოძრაობა იმდენათ იზრდება და ფართოვდება, რომ ზოგიერთ ქვეყნებში პირდაპირ რევოლიუციებით თავდება. ასე მაგალითად 1918 წ. ნოემბერში გერმანიის მუშათა კლასი, მოთმინებიდან გამოსული ოთხი წლის იმპერიალისტური ომით, რომელსაც მსხვერპლათ ეწირებოდა ის კაპიტალისტების გაუმაძღარი მადისათვის, ამხობს მტარვალ ვილჰელმ მეორის სისხლიან ტახტს და აცხადებს გერმანიას **სოციალისტურ** რესპუბლიკათ. მთელ ქვეყანას სოკოებივით ეფინებიან მუშების, მატროსების და ჯარისკაცების საბჭოები, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებათაც კი გახდენ პირველ ხანებში, სანამ გერმანიის კაპიტალისტები და მემამულეები, შეიდემანელები და „დამოუკიდებლები" გონს მოვიდნენ, გამოერკვვოდნენ მდგომარეობაში და განაგრძობდენ თავიანთ გამცემლურ საქმის კეთებას ბურჟუაზიის საკეთილდღეოთ. წარმოიდგინეთ გერმანიის მუშათა კლასში იმდენი რევოლიუციონური ენერგია იყო დაგროვილი მაშინ სტიქიურათ, რომ მთავრობასაც კი, რომლებშიაც შედიოდენ განსაკუთრებით და მარტო შეიდემანელები და „დამოუკიდებლები", დაარქვეს რუსეთის ოქტომბრის დიდი რევოლიუციის სახელი, სახალხო კომისართა საბჭო.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასეთი მდგომარეობა. მალე გერმანიის **სოციალისტური** რესპუბლიკა შეიცვალა **ბურჟუაზიულ** რესპუბლიკათ, სახალხო კომისართა საბჭო აშკარა ბურჟუაზიულ სამინისტრო კაბინეტათ, ხოლო მუშათა საბჭოებს კი ხელიდან გამოეცალათ მუშების გამცემელ და გამყიდველ სოციალდემოკრატების შემწეობით არა თუ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება, არამედ მარტო თავის ფორმალურათ არსეობის უფლებაც კი, უფლება მარტო მუშათა კლასის ინტერესების დასაცავათ და საბრძოლველათ. და ამაში პატარა როლი არ ითამაშა იმ გარემოებამ, რომ გერმანიის რევოლიუციონურ მუშათა კლასს, რომელიც უგეგმოთ, სტიქიურათ ილტვოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ კაპიტალიზმის დასამხობათ, არ ყავდა თავისი ჭეშმარიტად მუშური პარტია, რევოლიუციონური ავანგარდი—ხელმძღვანელი, არ ყავდა რევოლიუციონური კომუნისტური პარტია, რომელიც ჩააყენებდა განსაზღვრულ კალაპოტში მის დაგროვილ დიდძალ სტიქიურ რევოლიუციონურ ენერგიას, უხელმძღვანელებდა მას მძიმე ბრძოლაში და წაიყვანდა იერიშზე კაპიტალიზმის სიმაგრეების ასაღებათ, ერთი სიტყვით, მოაპოვებინებდა გერმანიის მუშათა კლასს გამარჯვებას ბურჟუაზიაზე დ განამტკიცებდა მის სრულ ხელისუფლებას მთელს რესპუბლიკაში.

დღეს ჩვენ გამოცდილებიდან უკვე ვიცით, რომ საბჭოები უკომუნისტებოთ არ არიან მუშათა საბჭოები, არ არიან სინამდვილეში სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები, რომ საბჭოები უკომუნისტებოთ ან იშლებიან და კვდებიან და როგორც მოხდა ეს გერმანიაში, ანდა ჰქნებიან და ცოცხალ ლეშს ემსგავსებიან, როგორც ეს იყო მენშევიკების დროს ჩვენში, საქართველოში. ეს დღეს უკვე საანბანო ჭეშმარიტებათაა ქცეული.

ამგვარად გერმანიის მუშათა კლასის რევოლიუციონური ენერგია, მიუხედავად ბერლინში ბურჟუაზიული მთავრობის გამარჯვების შემდეგ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის რამდენიმე ხნის არსებობისა, ნელ-ნელა კლებულობდა დ მისი ასეთი რევოლიუციონური სულისკვეთებაც დუნდებოდა.

ასევე მოხდა ავსტრო-ჰუნგრეთშიც. იმავე 1918 წ. ეს სხვა და სხვა ეროვნებებისაგან შეკოწიწებული იმპერია რევოლიუციის გამო დაირღვა და მის ნანგრევებზე დაარსდენ ეროვნული რესპუბლიკები. ჰუნგრეთში 1919 წ. დასაწყისში იქამდის ავიდა მუშების რევოლიუციონური მოძრაობა, რომ ერთი ხელის დაკვრით უსისხლოთაც კი დამხობილ იქმნა ხორტის ბურჟუაზიული მთავრობა და გამოცხადებული საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ არც აქაც გაგრძელებულა დიდ ხანს მუშების ხელისუფლება. მენშევიკებმა აქაც გამოიჩინეს თავისი გამცემლური ბუნება და უღალატეს ჰუნგრეთის მუშების მთავრობას, კომუნისტური პარტია კი არც აქ არსებობდა, რომ მუდამ მუშათა კლასის სათავეში ყოფილიყო და წინდაწინვე უზრუნველეყოთ საბჭოთა ხელისუფლება მენშევიკების ღალატისაგან.

ერთი სიტყვით იმპერიალისტური ომის დასრულებისას მუშების რევოლიუციონური ბრძოლა, მათი სტიქიური რევოლიუციონური აღფრთოვანება ისეთი დიდი იყო, რომ იტალიელი მენშევიკიც კი იძულებული შეიქმნა აღეარებია ეს. რეფორმისტმა ავგუსტინმა სთქვა: „ჩვენ იტალიაში 1919 წ. დასასრულ და 1920 წ. დასაწყისს გვწამდა, რომ რევოლიუცია დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაიმარჯვებდა. ჩვენ გვესმოდა ამ აჯანყებული ხალხის აღშფოთების ხმა, რომელიც მოითხოვდა იმპერიალისტური ომის დამნაშავეებს, რომელიც ღელავდა და ბრძოლისკენ ისწრაფოდა. იმ დროს ჩვენ ყველას გვწამდა, რომ დღეს ან ხვალ რევოლიუცია გაიმარჯვებდა".

ასევე იყო სხვა ქვეყნებშიაც. ასეთი იყო მუშათა კლასის, პროლეტარიატის, რევოლიუციონური ენერგიის, მისი გააფრთებული ბრძოლის გამოხატულება იმპერიალისტური ომის შეწყვეტის ჟამს.

როგორც ვხედავთ მუშათა მასსების რევოლიუციონური აღტყინება, მისწრაფება ბრძოლისაკენ განუზომელი იყო, აღშფოთება არსებული კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ მეტად ღრმა იყო და აკლდა მხოლოდ ერთი, აკლდა კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა მასების რევოლიუციონურ მოძრაობას, იკისრებდა მის მეთაურობას და ამგვარად გამარჯვებით დააგვირგვინებდა მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ამ გარემოებამ საჭირო გახადა კომუნისტური ინტერნაციონალის, რომელიც ჯერ კიდევ ახალი დაარსებული იყო, ყურადღების მიქცევა სწორეთ ამ კომუნისტურ პარტიების დაარსებისაკენ იმ ქვეყნებში, სადაც ასეთები არ არსებობდნენ და იქ კი, სადაც ასეთები იყვნენ, მათ გაძლიერეებ-გამაგრებისაკენ.

რა იყო საჭირო ამისთვის, როგორ შეიძლებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე წამოჭრილ ამ ამოცანის სისრულეში მოყვანა? რასაკვირველია არა ერთიანი მუშათა ფრონტი, რომელსაც დღეს აყენებს კომინტერნი, რასაკვირველია არა იმით, რომ ის კომუნისტური ჯგუფები, რომლებიც გაჩნდენ სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტური პარტიებში მემარცხენე ფრთების სახით, დარჩებოდენ ისევ ამავე პარტიების ფარგლებში და გადაბმულ იქნებოდენ მათთან ორგანიზაციულათ, არამედ მით რომ ეს ჯგუფები გამოეყოფოდენ, გამოეთიშებოდენ ამ პარტიებს, გაიმიჯნებოდენ მათგან, ორგანიზაციულად მოაწყობდენ თავიანთ საკუთარ კომუნისტურ პარტიებს, რათა მათ აგიტაციასა და პროპაგანდას უფრო მეტი ნაყოფი გამოეღო და გამოეყვანა მუშები იმ „სოციალ"—გამცემლების გავლენისაგან, რომლებიც სწამლავდენ მუშათა მასებს ოპორტიუნისტული და რეფორმისტული იდეებით.

და მართლაც ამ ხანებში უკვე იწყება კომუნისტური ინტერნაციონალის ენერგიული მუშაობით რასკოლები და გათიშვები ევროპის სოციალისტურ პარტიებში. გერმანიის დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატებს ეთიშება მემარცხენე ფრთა და აარსებს გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან (სპარტაკთან) ერთად გაერთიანებულ ძლიერ კომუნისტურ პარტიას, საფრანგეთის სოციალურ პარტიის კონგრესზე იმარჯვებენ კომუნისტები მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის მომხრეები, აძევებენ პარტიიდან მემარჯვენე და ცენტრისტულ მიმდინარეობებს და კომუნისტურ პარტიათ აცხადებენ მას. დაახლოებით ამავე დროს რასკოლი ხდება აგრეთვე იტალიის სოციალისტურ პარტიაშიაც, რომელიც ირყეოდა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალსა და ორ ნახევარ ინტერნაციონალს შორის. მას ცილდება, მემარცხენე ფრთა ამხ ბომბარჩის მეთაურობით დაარსებს იტალიის კომუნისტურ პარტიას. ერთი სიტყვით ეს ხანა, 1920 წ. ხასიათდება თითქმის ყველა ქვეყნებში, სადაც კი არსებობენ სოციალისტური პარტიები რასკოლებითა და გათიშვებით და ცალკე დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიების დაარსებით.

მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის მესამე კონგრესიც სწორეთ ამ ახლად დაარსებულ და მოღონიერებულ პარტიების კონგრესს წარმოადგენდა.

ამ გვარათ რასკოლებმა და გათიშვებმა რევოლიუციონურ მუშათა კლასს მისცა ჩამოყალიბებული მოღონიერებული კომუნისტურ პარტიები, რომლებსაც შეეძლებოდათ მუშათა რევოლიუციონური მოძრაობას სათავეში ჩადგომოდა და მისთვის გარკვეული ხასიათის მიცემა. ამ მხრივ კომინტერნის ეს ამოცანა ღირსეულათ იქნა შესრულებული.

ამავე დროს ამ პერიოდში (1920 წ.—1921 წ.) საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა მოძრაობა ცხრება, ამ სტიქიური მოძრაობას ტალღები ეცემა. 1920 წ. მარტის ამბები გერმანიაში დაგვიანებული ამოძახილი იყო წარსულ რევოლიუციონურ ბრძოლისა და არა ახალი მოძრაობის დასაწყისი. პირველი რევოლიუციონური ბრძოლები მუშათა კლასისა დასრულდა და მასებში ხელახლად გაიდგა ფეხი რამოდენიმეთ „დემოკრატიულმა", რეფორმისტულმა ილუზიებმა. დაღლილი მუშები უფრთხიან უკვე ახალ ბრძოლებში ჩაბმას; ისინი ამჯობინებენ დაცდას და რამდენიმეთ შესვენებას.

მაგრამ ბურჟუაზია უკვე იწყებს ხელახლა მუშების წინააღმდეგ გალაშქრებას მთელი თავისი ძალღონით. ის აღარ ეპუება მათ და ცდილობს უკანასკნელი ლუკმა გამოგლიჯოს მათ თავისი სიმდიდრის გასადიდებლათ, დაღუპვის კარზე მიმდგარ მის მეურნეობის აღსადგენათ და გასამაგრებლათ. ამაში დიდათ უწყობენ ხელს, მას სხვა და სხვა ქვეყნის „სოციალ"—გამცემლები, რომლებიც ურჩევენ მუშათა მასებს დაცდას, და მორჩილებაში ყოფნას, ვინაიდან, მხოლოთ ამ მტკიცებით და რჩევა დარიგებით მიაღწევენ მუშები ვითომ და გამარჯვებას ერთი, და მეორე, ის რომ ისინი ამით აღადგენენ მხოლოთ დანგრეულ მეურნეობას, ე. ი. მეურნეობას **კაპიტალისტურს**, რომელიც დაანგრიეს და დასცეს სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტებმა საკუთარ ინტერესებისათვის ბრძოლაში.

და აი ამ მიზნისთვის კაპიტალისტებმა, დაინახეს რა მუშათა კლასი რამდენიმეთ შესუსტებული და წელში რამდენიმეთ მოხრილი, გადავიდენ მკაცრ იერიშებზე მის წინააღმდეგ.

ქ. კომუნაძე.

(შემდეგი იქნება)

# საბჭოთა ყრილობისათვის

## წესრიგი

**საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლისთავისა და სრულიად საქართველოს მუშათა, წითელარმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა პირველ ყრილობის გახსნის დღესასწაულისა, 25 თებერთვალს 1922 წ.**

ა) დილით 9 საათზე ყველა მუშები და მოსამსახურეები იკრიბებიან თავიანთ წარმოებებში, საიდანაც მიდიან შემდეგ შესაკრებ ადგილებში:

1) რაიონი—ნაძალადევის მოედანი დილის 11 საათზე.

2) რაიონი — ავჭალის მოედანი, („კომეტას“ ფაბრიკა) დილის 10 ნახევარ საათზე.

3) რაიონი—კახეთის მოედანი, დილის 10 ს.

4) რაიონი—ამხ. ლენინის ქუჩაზე დილის 11 ს

4) ქვე-რაიონი—ადელხანოვის ქარხანა, დილის 10 საათზე.

შეიკრიბებიან რა აღნიშნულ ადგილებში, სახელდახელო მიტინგების შემდეგ რაიონებში გაემართებიან ქალაქის ცენტრისაკენ რუსთაველის პროსპექტზე და მწკრივდებიან დაწყებული სასტუმრო „ორიანტიდან“, სადაც მარცხენა ფრთა დადგება, შემდეგ რიგზე: 1 რაიონი სასტუმრო „ორიანტთან“ ფრონტით სასახლისკენ, ხოლო დანარჩენი რაიონები, ნომრების რიგზე; მწკრივდებიან პროსპექტის სიგრძეზე ამხ. ლენინის ძეგლამდე ისეთი ანგარიშით, რომ ყველა რაიონები გამწკრივებულნი იყვნენ დღის 12 საათისთვის.

ბ) ჯარები გამწკრივდებიან რუსთაველის პროსპექტის ჩრდილის მხარეზე, მათი მარჯვენა ფრთა იდგება სამხედრო ტაძართან.

გ) პარადს იღებს საბჭოთა ყრილობა ჯარის რევ.-სამხედრო საბჭოსთან ერთად—სასახლესთან.

დ) სამხედრო ნაწილების და მუშათა ორგანიზაციების მისალმების შემდეგ იხსნება მიტინგები: მუშათა სასახლესთან, სახელმწიფო ოპერასთან და ამხ. ლენინის ძეგლთან.

ე) მიტინგების დასრულების შემდეგ ჯარები ცერემონიალის მარშით და მათ შემდეგ რაიონები გაემართებიან ერევნის მოედნისკენ და წავლენ პირველნი ყაზარმებში, მეორენი რაიონებში.

კომისიის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი, მდივანი გ. ყურულაშვილი.

**ყრილობის გახსნა**

სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა გაიხსნება 25 თებერვალს, დილის 11 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში.

**დელეგატების ჩამოსვლა.**

ჩამოდიან საბჭოთა ყრილობის დელეგატები. დელეგატები ტარდებიან რეგისტრაციაში სასახლეში, ოთახში № 22.

**ბინები დელეგატებისთვის.**

ქალაქ თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გაანთავისუფლოს ოთახების შესაფერისი რაოდენობა საბჭოთა სასტუმროებში სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატებისთვის.

---

8. სისხლის სამართლის ყველა საქმეები სპეკულიაციის დარგში, ან თანამდებობრივი და სხვა ბოროტმოქმედებანი, რომელიც ამ დადგენილების გამოქვეყნებამდი იმყოფებიან უმ. საგ. კომისიის და მისი ორგანოების წარმოებაში, უნდა გადაეცეს გამოქვეყნების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში რევტრიბუნალებს ან სახალხო სასამართლოებს—კუთვნილებისამებრ, და ამის შემდეგ ყველა ბოროტმოქმედება, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა წყობილების ან რ. ს. ფ. ს. რ. კანონების წინააღმდეგ, უნდა გაარჩიონ მხოლოდ რევტრიბუნალებმა ან სახალხო სასამართლოებმა კუთვნილებისამებრ.

9. საერთო თვალ-ყურის დევნება ამ დადგენილების მე 7 და 8 მუხლების შესასრულებლად ეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

10. ამ დადგენილებასთან შეფარდებით დამატებულ იქნას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულება.

სრულიად რუსეთის ც. აღმასკომის თავმჯდომარე **მ. კალინინი**.

მდივანი **ა. ენუქიძე**.

მოსკოვი.

6 თებერვალი 1922 წ.

# გენუას კონფერენციისათვის

**საფრანგეთი და რუსეთი.**

**ბორდო**. 20 თებერვალი. (რადიო). „ტანი“ ვრცლად განმარტავს „მატენში“ გამოქვეყნებულ კრასინის განცხადებას, მის ლონდონიდან წასვლის წინ მოთავსებულს. „ტანი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ნათლათ გაუსვა ხაზი, საბჭოთა რუსეთის სურვილს საფრანგეთთან შეთანხმებისას. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზის აზრით, გენუის კონფერენციამ შეძლება უნდა მისცეს მომავალ მოვალეებს რუსეთისას და საქმის ხალხს დარწმუნდნენ რომ რუსეთში მათი ოპერაციები უზრუნველყოფილი იქნება. „ტანი“ შემდეგ აღნიშნავს, საბჭოთა მთავრობა აქამდის სცდილობდა სეპარატიულ მოლაპარაკების წარმოებას ყოველ ევროპიულ სახელმწიფოსთან. ცალკე ანიჭებდა ყოველს ცალკე ეკონომიურ სარგებლობას და ასეთ საშუალებით ქმნიდა სახელმწიფოებს შორის კონკურენციას. ასეთი თამაში, რომელსაც საბჭოთა რუსეთი აწარმოებდა, დაუშვებელი იქნება მაშინ, როცა გენუის კონფერენციაზე ყველა სახელმწიფოები პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს.

ეჭვს გარეშეა ის, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ევროპის და რუსეთის აღდგენაში, უარს განაცხადებენ ურთერთ შორის კონკურენციისგან, და საბჭოთა მთავრობას მოსთხოვენ გარანტიებს იმაში, რომ ყველა ღონისძიებანი, რომელნიც კანაში გამოიმუშავეს, ნამდვილად გატარდეს არსებითად. მაგრამ საბჭოთა მთავრობა სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ აუცილებელია დაარსება ერთ კომუნისტურ ფრონტისა და ამ ფრონტის დასაარსებლათ იგი წავა ისევ სეპარატიულ შეთანხმებათა გზით.

„ტანის“ აზრით, „ბალშევიკებმა რომ უარი განაცხადონ თავის ფიქრზე საერთო ფრონტის შექმნაზე, მაშინ, რასაკვირველია, უფრო მალე მიაღწევდნენ თავის მიზანს“, და უცხო მთავრობების დახმარებით განამტკიცებდნენ რუსეთში თავის მდგომარეობას. რასაკვირველია, სწერს დასასრულ „ტან“-ი, საფრანგეთი არ ეგება ანკესზე, და დაეხმარება რუსეთს მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთი დაიჭერს იმ პოზიციას, რომელიც ამ დახმარებას შესაძლებელს გახდის.

**საფრანგეთის პროვოკაცია.**

**პარიზი**, 20 თებ. (რადიო). ლონდონის კორესპონდენტი „პტი ჟურნალის“ სწერს: ლონდონში დარწმუნებული არიან, რომ საფრანგეთის დაჟინებითი მოთხოვნა გენუის კონფერენციის გადადებისა პროვოკაციაა, რომლის საშვალებით შეიძლება არა თუ თვით კონფერენციის ჩაშლა, არამედ ევროპის ეკონომიურ აღორძინებისაც.

**მზრუნველობა ლენინზე.**

**ნაუენი**, 20 თებერვალი (რადიო). ევროპის პრესსა იუწყება, სათაურით „მზრუნველობა ლენინზე“, რომ რუსულ ქალაქებს ერთხმად გამოაქვთ დადგენილება, რომ ლენინი არ წავიდეს რუსეთის საზღვრებიდან და პირადი მონაწილეობა არ მიიღოს კონფერენციაში, რადგანაც ევროპაში მას ხიფათი მოელისო.

**არა გენუა, არამედ რომი.**

**პარიზი**, 20 თებერვალი (რადიო). მიღებულ ცნობებით, იტალიის მთავრობას მიზნათ აქვს წინადადება მისცეს სახელმწიფოებს სრულიად ევროპის კონფერენცია გენუიდან რომში გადაიტანონ და კონფერენციის მუშაობა დაიწყონ აპრილის დასაწყისს.

**საფრანგეთი უკმაყოფილოა.**

**რომი**, 20 თებერვალი (რადიო). საფრანგეთის პოლიტიკური წრეები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ინგლისის მთავრობა ჯერ კიდევ პასუხს არ იძლევა საფრანგეთის მემორანდუმზე გენუას კონფერენციის შესახებ „ტან“-ს აქედან დასკვნა გამოყავს, რომ ინგლისი საფრანგეთის აზრს არ იზიარებს, მოკავშირეთა შორის ურთიერთ წინასწარ შეთანხმებაზე და მცირე ანტანტის წარმომადგენელთა კონფერენციაზე მოწვევის შესახებ.

# ქრონიკა

◆ **სავალიუტო-სატარიფო ბირჟა.** თბილისის სავალიუტო-სატარიფო ბირჟაზე წარმომადგენლათ თბილისის ქალაქის აღმასკომიდან არჩეულია ამხ. ცინცაძე.

◆ **სახალხო განათლების კომისარიატის სამუზეუმო-საგამოფენო-საექსკურსიო განყოფილება.** სამ.-გამო. ექსკურ. განყოფილებამ სახ. განათ. კომისარიატისა, რომელიც იმყოფება პლეხანოვის პროსპექტზე № 3. ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, საგრძნობლად გააფართოვა თავისი მუშაობა და დგება თავისი საკუთარი საწარმოო ანგარიშზე. განყოფილება ყოველთვიურად უშვებს კედლის დიდ პლაკატ-კალენდრებს, სადაც გამოსახულია აუარებელი სურათი ისტორიის გამოჩენილ გმირებისა, მოღვაწეების, მეცნიერების და სხ. ახლა განყოფილება ღებულობს შეკვეთას სამხატვრო პლაკატების და ფრიად ზომიერ ფასებში.

განყოფილებაში არის წიგნების დიდი რიცხვი, როგორც საბჭოთა ლიტერატურისა, (უმთავრესად ბროშიურები), ისთე ბელეტრისტული შინაარსის. წიგნები იყიდება ბაზრის ფასებზე უფრო იაფად.

განყოფილებაში ბევრია 22 წლის კალენდარი-მოსახევი და ტაბელი.

◆ **საარქივო დოკუმენტების დაცვა.** სახელმწიფო არქივის მთავარ სამმართველოს მიერ მიღებულ ზომების გამო არქივის დოკუმენტების დასაცავად, ოზურგეთის მაზრაში, ჩამოვიდა მოვლინებული დ. დუმბაძე, რომელსაც დავალებული ქონდა გამოერკვია არქივების მდგომარეობა მთელ მაზრაში და რამდენად არის გატარებული ცხოვრებაში საქართ. საგანგებო კომისიის დადგენილება ადგილობრივ არქივების დაცვა და მოწესრიგებაზე. დათვალიერებიდან აღმოჩნდა, რომ გაყიდვა არქივის ქაღალდების დაწყებულა ორი წლის უკან და წარმოებდა საქართველოს საგან. კომისიის დადგენილების გამოცემამდე. ოზურგეთის არქივის დათვალიერებამ ცხადყო, რომ ბევრი ძველი საქმეები აკლდა. დაფანტული ნაწილები ზოგიერთ საქმეებისა, ამხ. დუმბაძემ გადაარჩინა. სამაზრო კანცელიარიის არქივები ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც ოზურგეთის არქივი. დაწყებულია ფეხსაცმელების და თოკის საძირე სახელოსნოს მოწყობა, აგრეთვე შესაკეთებელ სახელოსნოს.

◆ **მე-10 საბავშვო სახლი.** მე-10 საბავშვო სახლი პლეხანოვის პროსპექტზე № 136, რომელიც იმყოფებოდა თბილისის ქალაქ. სახალხო განათლების განყოფილების განკარგულებაში, გადავიდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ვოლგის მხარის დამშეულ ბავშვთა მიმღებ კომისიის მართველობაში. ბავშვების მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება. ბავშვებს აძლევენ რძეს, გაუდიდებენ პურის რაციონს, ვორონეჟის გუბერნიიდან მიღებულ პურიდან. ეწყობა მეცადინეობა მუსიკაში, სიმღერაში და ხატვაში.

◆ **გაზეთის ანკეტა.** რევოლიუციის მუზეუმი შეუდგა საქართველოს და ამიერ-კავკასიის პრესის შესახებ მასალების შეკრებას. საჭიროა ცნობები მემარცხენე ლეგალურ და არალეგალურ გაზეთების და ჟურნალების შესახებ 1914 წლამდი, ხოლო 1914 წლიდან კი ყველა მიმართულების. საგაზეთო ანკეტა შესდგება შემდეგი კითხვებისაგან: 1) გაზეთის სათაური, 2) გამოცემის ადგილი და წელიწადი (თუ გაზეთი სხვადასხვა ადგილას გამოდიოდა, უნდა აღინიშნოს რომელი ნომერი სად გამოვიდა), 3) გაზეთის გამოცემის ისტორია, 4) რომელი ჯგუფი სცემდა გაზეთს, 5) ვისგან შესდგებოდა რედაქცია, ხომ არ იცვლებოდა იგი?!, 6) ვინ იყვნენ გაზეთის უმთავრესი თანამშრომლები, 7) როდის გამოვიდა პირველი ნომერი, 8) რამდენი ნომერი გამოვიდა სულ, 9) როდის გამოვიდა უკანასკნელი ნომერი, 10) იყო თუ არა გაზეთი დახურული და რამდენჯერ, 11) უყვეს თუ არა კონფისკაცია და რომელ ნომერს, 12) ხომ არ იყო გაზეთი დაჯარიმებული, 13) ხომ არ იყვნენ გაზეთი ან მისი თანამშრომლები სასამართლოს ან ადმინისტრ. წესით დასჯილნი, 14) იყო თუ არა გაზეთის მიმართულებაში რყევა, 15 რატომ შეწყდა გაზეთის გამოცემა. მუზეუმი სთხოვს ყველას, ვისაც აქვს ზემოაღნიშნული ცნობები სხვადასხვა გაზეთ ჟურნალებზე, შეავსოს ეს ანკეტა და თავის ხელმოწერით გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, სასახლე, რევოლიუციის მუზეუმი.

◆ **25 თებერვალი უქმე დღეა.** შრომის კომისარიატის განკარგულებით, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამყარების წლისთავის აღსანიშნავად, 25 თებერვალი უქმე დღედაა გამოცხადებული.

◆ **ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო** კვირას ა. წ. 19 თებერვალს, შესდგა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მოწვეული თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოს სამეურნეო რაიონებათ დაყოფის საკითხი. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ეკონომიურ [illegible] პირნი. თათბირმა [illegible] ლებელ საჭიროებათ ამ საკითხის გარშემო ფართე მუშაობის წარმოება—არა მარტო მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფო აღმშენებლობის პრაქტიკულ მოსაზრებებით, რადგან არსებული საადმინისტრაციო ერთეულები, შეიცავენ—რა ეკონომიურათ და ბუნებრივად აჭრელებულ რაიონებს შეუძლებლად ხდიან ამა თუ იმ დარგის ორგანიზაციის (აგრონომიის, სახ. ჯანმრთელობის და სხვ.) მიზანშეწონილი, წესიერ მოწყობას.

თათბირმა გადასწყვიტა მუშაობის სათანადო მასშტაბით და ტემპით საწარმოებლათ დაარსდეს ც. ს. ს.-თან ორი კომისია: 1. დიდი კომისია სადაც შევლენ, როგორც სტატ.-ეკონომისტები, ისე იმ მეცნიერებათა წარმომადგენელნი, რომელთა მონაწილეობა სასარგებლო იქნება: გეობოტანიკოსები, კლიმატოლოგები ნიადაგთ-მეცნიერნი და სხვა. 2. მცირე კომისია, შემდგარი იმ სტატ-ეკონომიურ მუშაობის სახელმძღვანელოდ, რომელიც წარმოებული იქნება საკითხის გასაშუქებლად. მცირე კომისიაში შევიდენ: 1. ტიმოფეევი, გ. გეხტმანი, გ. გრიგორიანი, ვ. ჩიგოგიძე, ლ. კარბელაშვილი და ა. გაგუა.

დიდ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: პროფ. ავალიანი, ფ. გოგიჩაშვილი, სოსნოვსკი, ზაქაროვი, გედევანიშვილი და სხვანი.

# მოკლე მიმოხილვა

## შრომის სახალხო კომისარიატის სოც. დაზღვევის განყოფილების მუშაობა 1922 წ. 1-ლ იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე

**პრეზიდიუმის მოქმედება.**

იანვრის განმავლობაში პრეზიდიუმს ჰქონდა რვა ოფიციალური სხდომა და გაარჩია ოცდა ცამეტი (33) საკითხი, რომელთა შორის უმთავრესი კითხვები იყო:

პირველი, კასის მტკიცე ბიუჯეტის შექმნა საპროცენტო გადასახადების შემოღებით და მეორე, ფულით დახმარება—პენსიების ნორმების შეცვლა ახალ სატარიფო განაკვეთის მიხედვით. როგორც ვიცით, პრეზიდიუმის აზრი გაზიარებული იქმნა შრომის სახალხო კომისარიატის მიერ და კიდევაც გამოიცა დადგენილება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ პრეზიდიუმის მუშაობა ამით არ ამოიწურება. პრეზიდიუმის თვითეული წევრი (პრეზიდიუმი სამი ამხ. შესდგება) განაგებს ცალკე განყოფილებას, რომელიც დატვირთულია თავისი ყოველდღიური საქმეებით. ამას ზედ ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ ეს მრავალფეროვანი და ზედმიწევნით რთული ფუნქციები დღემდის არ არის კანონიერი ნორმებით განსაზღრული, რის მეოხებითაც პრეზიდიუმის თვითეულ წევრს, განსაკუთრებით სამმართველოს საადმინისტრაციო განყოფილების გამგეს, უხდება ყოველ ცალკე კონკრეტიულ კითხვებში თვითონ გაერკვეს და უმთავრესად დაეყრდნოს პირადი დამზღვევ გამოცდილებას...

გარდა ამისა ჩვენი განყოფილება (ეგრედ წოდებული ცენტრ. დამზღ. კასა) დღემდის ხელმძღვანელობს პროვინციების ადგილობრივ დამზღვევ განყოფილებებს, რომელთაც ის უწევს, როგორც მატერიალურ, ისე იდეურ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას. ასეთი განყოფილებები უკვე დიდიხანია არსებობენ:

ბათუმში, ფოთში, ზუგდიდში, ქუთაისში, ჭიათურაში, ტყიბულში, ბორჯომში, ხაშურში, სამტრედიაში, თელავში და ახალ-სენაკში.

**საერთო განყოფილების საქმიანობა.**

იანვრის განმავლობაში საერთო განყოფილების სარეგისტრაციო მაგიდამ მიიღო 117 ქაღალდი და გასცა 644. გაგზავნა სამკურნალო განყოფილების დავალებით სხვა და სხვა საავადმყოფოების: საქირურგიო განყოფილებებში 19 ავადმყოფი, სატერაპევტო და გადამდებ განყოფილებებში 105 ავადმყოფი, სამშობიარო სახლებში 18 ფეხმძიმე-მშობიარე, გასცა კერძო ექიმების ხელწერილით რეცეპტები 6.180. გაგზავნა სანატორიაში 15 პლექით შეპყრობილი; გაგზავნა ადგილობრივ გოგირდის აბანოს მისაღებათ 25 ავადმყოფი, გასცა სარაიონო ექიმებზე თავის ბინაზე მწოლარე ავადმყოფთა სანახავად 1.190 ფურცელი (ტალონი), გამოსწერა მიცვალებულთათვის 32 კუბო და ბალდახინი (კატაფალკა).

**საპროცენტო გადასახადების ამკრეფ მაგიდის მოქმედება.**

საპროცენტო გადასახადების აკრეფის გაძლიერებას დიდი ხანია მიაქცია ყურადღება პრეზიდიუმმა. ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ერთი აგენტი ვერ გასწევდა ამ საქმეს, იანვრის მეორე ნახევარში მოწვეული იქნა კიდევ ერთი აგენტი.

იანვრის განმავლობაში ამ ორ აგენტმა შემოიარეს შემდეგი ადგილები:

თათრისა და სომხის მოიდნები, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტები, დიდუბე, ვაგზლის რაიონი, რიყე, ავლაბარი და შუა-ბაზარი. დაჰყვეს დაახლოვებით ხუთას (500) დაწესებულება-დუქან-მაღაზიებში. (საშუალო რიცხვით თითო აგენტს უხდებოდა მისვლა ყოველ ცალკე ალაგას ხუთჯერ ექვსჯერ), სულ მოგროვილ იქმნა იანვრის განმავლობაში 10 პროც. გადასახადი: **59,026,021** მანეთი.

**საინსტრუქციო განყოფილება.**

საინსტრუქციო განყოფილებას, რომელშიაც ჯერ ჯერობით მუშაობს ერთი ინსტრუქტორი და რომელიც უმთავრესად მუშაობს სამმართველოსაადმინისტრაციო განყოფილების გამგესთან ერთათ, იანვრის განმავლობაში უხდებოდა უმთავრესად სიტყვიერი ახსნა-განმარტების მიცემა როგორც ავადმყოფზე, ისე სხვა და სხვა ორგანიზაციების და განყოფილებათა წარმომადგენლებისთვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოკლე ანგარიშში არ შედის სამკურნალო განყოფილების აღნიშნულ თვის მოღვაწეობა ტეხნიკური დაბრკოლების გამო.

# საბუხჰალტერიო განყოფილება

შედგენილია ქვემოთ მოყვანილი ბალანსი იანვრის განმავლობაში ნაწარმოებ ოპერაციებისა.

| ანგარიშის დასახელება. | დებეტი. | კრედიტი. | სალდო. | |
|---|---|---|---|---|
| | | | დებეტი. | კრედიტი. |
| დახმარება ავადმყოფობის გამო | 10409720—16 | — | 10409720—16 | — |
| „ მშობიარე წევრთათვის | 2589267— | — | 2589267— | — |
| „ წევრთა მეუღლეთათვის | 9128500— | — | 9128500— | — |
| „ წევრთა დასასაფლავებლათ | 11000000— | — | 11000000— | — |
| „ „ ოჯახის | 8785000— | — | 8785000— | — |
| ჯილდო ექიმთა, ავადმყოფთა ექიმობისათვის | 600000— | — | 600000— | — |
| დახმარება ავადმყოფთათვის წამლებით | 30500000— | — | 30450000— | — |
| უმუშავართა დაზღვევა | — | — | — | — |
| შრომის უნარ დაკლებულთა დაზღვევა | — | — | — | — |
| დახმარება დასახ ჩრებულთათვის | 304500— | — | 304500— | — |
| პირად შემადგენლობის შენახვა | 1661800— | — | 1661800— | — |
| სხვა და სხვა სამეურნეო ხარჯები | 9255624— | — | 9255624— | — |
| ანგარიში ავანსით | 35806975 | 244000— | 35562975— | — |
| „ პროვინციალურ განყოფილებებში | 25000000— | — | 25000000— | — |
| „ კასისა | 146952028—94 | 141704411—16 | 105247618—78 | — |
| „ სხვა და სხვა პირთა ადგილებში | — | 59026021— | — | 59026021— |
| „ შრომის სახალ. კომისარიატისა | — | 118000000— | — | 118000000— |
| „ კაპიტალისა | — | 73018983—94 | — | 73018983—94 |
| ს უ ლ | 391993416—10 | 391993416—10 | 250045004—94 | 250045004—94 |

პირად შემადგენლობის შესანახად დახარჯული ჯამი სინამდვილეს რასაკვირველია არ შეეფერება. ამ ჯამის სიცოტავე აიხსნება ფულის უქონლობის გამო იანვრის განმავლობაში ჯამაგირის მიუცემლობით.

ამნაირათ კასის ფინანსიური მდგომარეობა იანვრის თვის განმავლობაში ასეთია:

| ნაშთი პირველ იანვრისათვის. | შემოსავალი. | გასავალი. | ნაშთი პირველ თებერვლისთვის. |
|---|---|---|---|
| 69,926,008—94 | 177,026,021— | 141,704,411—16 | 105,247,608—78 |

გამგეობის თავმჯდომარე: **ალ. იაშვილი.**

# თეატრი და ხელოვნება

**პროლეტარული დრამატიული სტუდია.**

მთავარ პოლიტიკურ განათლების მმართველობამ დაარსა პროლეტარული დრამატიული სტუდია. სტუდიის მიზანი ფართო და მრავალმნიშვნელოვანია. აღნიშნული სტუდია უპირველესათ თეატრალურ ხელოვნებას შეასწავლის სტუდიელებს, როგორც პრაკტიკულათ ისე თეორეტიულადაც.

დღეს ჩვენ ვიცნობთ თეატრალურ ხელოვნების ისეთს ფორმას, რომელიც ერთგვარ ბურჟუაზიულ შაბლონს წარმოადგენს და ერთ წერტილზეა გაყინული; თეატრალურ ხელოვნებას გადახალისება არ ეტყობა. დღევანდელი პროლეტარული რევოლიუციის ხანა კი სულ სხვას მოითხოვს. საჭიროა ხელოვნებამაც მიიღოს მონაწილეობა დღევანდელ ისტორიულ მომენტში. საჭიროა იმ იდიების, რომელის განხორციელებისთვის დღეს მუშათა კლასი იბრძვის, მხატვრულად განსახიერებაში თეატრმაც მიიღოს მონაწილეობა, რომ მით ბრძოლის პათოსი, როგორც პრაქტიკულ მოძრაობაში ისე ფსიხიურ სფეროშიაც სჩანდეს.

ამის მაგალითი რუსეთის ცხოვრებამ მრავალი მოგვეცა, მაგრამ ეს მაგალითები სამწუხაროდ ჩვენში ჯერჯერობით მიბაძვას არ იწვევს.

მაგრამ დრო დაცდას არ ითმენს და მოითხოვს, რომ ეს საქმე უსათუოთ გაკეთდეს.

ამ მიზნით ზემოდ აღნიშნული სტუდია ენერგიულათ შეუდგება მუშაობას და მოკლე დროში დაანახვებს საზოგადოთ ყველას თუ რა არის ახალი თეატრალური მუშაობის მიღწევანი.

აღნიშნულ სტუდიას ორგანიული კავშირი ექნება ახლად დაარსებულ მწერალთა ასოციაციასთან, ორივე მათგანი კი შეერთებული მუშაობით დასძლევენ ამ სერიოზულ და მრავალ მნიშვნელოვან საქმეს.

დღემდის სტუდიის მუშაობას ხელს უშლიდა ტეხნიკური მხარეების მოუწყობლობა. ეხლა ეს დაბრკოლებები დაძლეულია და დღეიდან ორ კვირის შემდეგ სტუდია შეუდგება საფუძვლიან და ენერგიულ მუშაობას. მოუწოდებთ ამ ორ კვირის განმავლობაში ყველა იმ პირებს, რომელთაც სტუდიაში მუშაობა სურთ ჩაეწერონ.

ვინც ამ ორ კვირის განმავლობაში არ ჩაეწერება ის შემდეგ სტუდიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული რომ სტუდიის დიადი დანიშნულება ყველა ამხანაგებისთვის გასაგებია, და ყველა, ვისაც უღვივს გულში მუშათა კლასის აქტიურ ბრძოლის სიყვარული, ის მოვა სტუდიაში და თავისი ენერგიული მუშაობით ამას დაამტკიცებს. სტუდიის მისამართი შემდეგია: კლუბი მიხა ცხაკაიას სახელობაზე, ლენინის ქ. № 3.

**დ. კობახიძე.**

# წარმოებითი პროფკავშირები

**ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ყრილობისათვის**

**სპკს** ორგანყოფილებამ დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარული მიმართვა ყველა სამაზრო პროფბიუროებს და პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს:

1) ძვირფასო ამხანაგებო! ამიერ-კავკასიის დაყოფამდე სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკად, მისი პროფესიული მოძრაობა აერთიანებდა ამიერ-კავკასიის ყველა მშრომლებს ერთ მთლიან შრომის ოჯახად, რომელსაც ჰქონდა შეძლება კაპიტალის ცდისათვის—რაც შეიძლება მეტი მოგება ამოეწურა მუშებიდან, დაეპირდაპირებინა თავის კლასობრივ—რევოლიუციონური ნებისყოფა.

სურათი შეიცვალა, როცა ამიერ-კავკასიის სეიმმა თავისი მოღალატური დადგენილებით გათიშა ამიერ-კავკასია სამ რესპუბლიკად, რომელნიც არამც თუ იყვნენ ერთმანეთისაგან გაყოფილნი ჩინური კედლით, არამედ სისხლიან ბრძოლაში ებმოდნენ ნაციონალურ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. აზერბეიჯანის მუშები და გლეხები ილაშქრებდნენ სომხეთის და საქართველოს მუშების და გლეხების წინაღმდეგ, სომხეთის მუშები და გლეხები—თავის ძმების წინაღმდეგ საქართველოსა და აზერბეიჯანში და პირიქით. შედეგად დაშნაკების, მენშევიკების და მუსავატელების მოღალატური მუშაობისა მთელი ამიერ-კავკასია მოიცვა ნაციონალურმა თავბრუმ, რომელიც თანდათან ქრება, სამივე საბჭოთა რესპუბლიკის მედგარი მეცადინეობის წყალობით. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა საერთო შრომის ენა გამოეძებნა ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის, რამაც გამოიწვია დადგენილება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერატიულ გაერთიანების შესახებ. ნაციონალური თავბრუ, კვლავ უთმობს ადგილს ძმურ სოლიდარობას, რომელიც მჭერმეტყველურად გამოაჩინა საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობამ, როცა ერთხმად გადასწყვიტა ამიერ-კავკასიის პროფესიულ კავშირების გაერთიანება.

პოლიტიკური ფედერაცია წარმოუდგენელია ფედერაციის გარეშე სამეურნეო ცხოვრებაში, ხოლო უკანასკნელს უნდა მოყვეს პროფკავშირების გაერთიანებაც, რამდენადაც ისინი ისევ ატარებენ წარმოებითი ფუნქციებსაც.

კავშირების წმინდა პროფესიული ფუნქციებიც თავის წარმატებით ბრძოლისათვის აღორძინების გზაზე შემდგარ კაპიტალთან მოითხოვენ მუშების გაერთიანებას ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ამ მიზნით იწვევა 5 მარტს ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ყრილობა, რომელიც გამოყოფს თავის წრიდან აღმასრულებელ ორგანოს მთელი ამიერ-კავკასიის პროფმოძრაობისათვის. მხოლოდ ძმური ჯაჭვებით გადაბმულნი რუსეთის პროლეტარიატთან, ამიერ-კავკასიის მუშები შესძლებენ ჩასცენ მახვილი ჯერ კიდევ ისევ ჯიუტ კაპიტალს.

ზემო თქმული მოითხოვს საქართველოს პროფორგანიზაციებიდან დაუყონებლივ შეუდგნენ კამპანიის ჩატარებას გაერთიანების პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამ მიზნით უნდა იქნენ მოიწვეულნი ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების საქალაქო კონფერენციები, რომლებზედაც მოხდება დელეგატების არჩევნები ყრილობისათვის; ნორმა: ერთი წარმომადგენელი 1,000 კაცზე. რაც შეეხება მაზრებს, უკანასკნელებში არჩევნები უნდა მოხდეს სამაზრო პროფბიუროების გაფართოვებულ პლენუმებზე სამდივნოებიდან წარმომადგენლების მონაწილეობით. გაფართოვებულ პლენუმების და საქალაქო კონფერენციების დღის წესრიგში **სპკს** ორგანყოფილებას შეაქვს შემდეგი სამი კითხვა: 1) ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა ყრილობის მნიშვნელობა, 2) საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის მუშაობის შესახებ, 3) დელეგატების არჩევნები. სამაზრო პროფბიუროებს და კავშირების ცენტრალურ გამგეობებს უფლება ენიჭებათ. გააფართოვონ დღის წესრიგი თავის შეხედულებით.

**სპკს** მდივანი **ლ. დუმბაძე.**

**სპკს** ორგანყოფილების გამგე **კ. ოდილავაძე.**

პასუხისმგებელი მდივანი **ტერ-არუთინოვი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა— დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალურ და სამაზრო კომისიების შესახებ.**

რათა გაერთიანებულ იქმნეს დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლ და მისი სალიკვიდაციო ორგანოების მოქმედება, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაარსდეს საქართველოს სოც.-საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე:

ა) დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლი განსაკუთრებული ცენტრალური კომისია—სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის შტაბთან;

ბ) დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლი განსაკუთრებული სამაზრო კომისიები—სამაზრო-სამხედრო კომისარიატებთან.

**2.** ზემო აღნიშნული კომისიები დაარსებულ იქმნეს შემდეგი შემადგენლობით:

ა) ცენტრალური კომისია—თავმჯდომარე, თავისი თანამდებობით, სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის პოლიტიკურ სამდივნოს მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე—სამხედრო საზღვაო კომისარიატის სამობილიზაციო განყოფილების სამხედრო კომისარი და წევრები—თითო წარმომადგენელი ცალკე ქართული შეერთებული ბრიგადის პოლიტიკური განყოფილებისა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისაგან.

**შენიშვნა:** კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრი ცალკე შეერთებული ბრიგადიდან დაინიშნება ბრძანებით სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი, ხოლო წევრები შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან—დაინიშნება სათანადო კომისარიატის მიერ.

ბ) სამაზრო კომისია—თავმჯდომარე, სამაზრო სამხედრო კომისარი და წევრები: თითო წარმომადგენელი კომუნისტური პარტიის სამაზრო პარტიული კომიტეტისა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტისა, სამაზრო მილიციის უფროსი და ქართული წითელი არმიის ადგილობრივი სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი.

**შენიშვნა:** იმ მაზრაში, სადაც სამხედრო ნაწილი არ იმყოფება, სამხედრო წარმომადგენელს შესცვლის პოლიტიკური ბიუროს წარმომადგენელი.

**ცენტრალური კომისიის უფლება და მოვალეობა.**

3. ცენტრალური კომისია არის უმაღლესი ორგანო დეზერტირობასთან ბრძოლისათვის და თავის მოქმედებაში უშუალოდ ექვემდებარება სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარს.

4. ცენტრალური კომისიის მთავარი დანიშნულება არის გადამწყვეტი ბრძოლა დეზერტირობასთან.

5. ცენტრალურ კომისიას დაევალება: ა) დეზერტირობასთან საბრძოლველად საერთო გეგმის შემუშავება, ბ) მიღება და განხორციელება უშუალოდ, ან სამაზრო კომისიების მეშვეობით,—გაფრთხილებისა, ან დასჯის ხასიათის განკარგულებათა, გ) დეზერტირობასთან ბრძოლის სფეროში პირადი, ან სამაზრო კომისიების მეშვეობით, კონტროლის გაწევა ყველა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო უწყების იმ სამმართველოებისა და დაწესებულებათათვის, რომელნიც უშუალოდ განაგებენ სამხედრო ბეგარის მომხდელთა აღნუსხვასა და ნამდვილ სამსახურში გაწვევას; აღნიშნული კომისია აგრეთვე კონტროლს გაუწევს ყველა სამხედრო ნაწილებს წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრების გასაცნობად და სათანადო ზომების მისაღებად მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე დეზერტირობის ფაქტისა და მიზეზების გამორკვევისათვის, დ) მეთვალყურეობა სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების და მიწათ მოქმედების კომისარიატის მოქმედებისა წითელარმიელთა ოჯახების უზრუნველყოფისა და მინდვრების დათესვის შესახებ გამოცემულ დეკრეტების აღსრულებისათვის; მეთვალყურეობას კომისია აწარმოებს სათანადო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთაგან ცნობებისა, საქმეთა და მიმოწერის მიღების საშუალებით; ე) სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და აგრეთვე კერძო პირებთან მოსამსახურეთა დოკუმენტების შემოწმება, მათი სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების გამოსარკვევად, და ამავე მიზნით წარმოება ჯგუფური ჩხრეკა-შეპყრობისა (ობლავა) სახლებში, ხალხის თავმოყრის და გასართობ ადგილებს და სხვა: როგორც ქალაქებსა, ისე სოფლებში ყოველივე ეს განხორციელებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ხელისუფლებისა, მილიციის ორგანოებისა და სამხედრო ნაწილების ხელის შეწყობით; ვ) მუშათა და გლეხთა მასსებისა და განსაკუთრებით წითელარმიელთა პოლიტიკური შეგნებისა და საერთოდ მისი კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება და განვითარება პროპაგანდისა, მიტინგებისა, ლექციებისა და საუბრების მოწყობითა და ფურცლების გამოცემით წითელი არმიის მნიშვნელობისა, დეზერტირობის მავნებლობისა, დეზერტირობისათვის პასუხისმგებლობისა და დამალვის შეუძლებლობის შესახებ, და აგრეთვე დეზერტირების საქმეთა გამო განაჩენის ფართო გამოქვეყნების საშუალებით.

**შენიშვნა:** თუ საჭიროება მოითხოვს, ცენტრალურ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლნი.

6. ცენტრალური კომისია თავის დადგენილებებს მიიღებს ხმის უბრალო უმრავლესობით; სათანადო შემთხვევაში დადგენილება გამოქვეყნებულ იქნება განსაზღვრული წესით; ამასთანავე, უკეთუ დადგენილება ეხება სხვა უწყებათა კომპეტენციას, საჭიროა წინასწარი შეთანხმება სათანადო კომისარიატთან, ხოლო საერთო ხასიათის დადგენილების გამოქვეყნებისათვის საჭიროა წინასწარი დასტური საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

7. ცენტრალურ კომისიას უფლება აქვს დამნაშავეს, ნამდვილ სამსახურში გაწვევისაგან განრიდებისა, თავისი ნებით სამსახურში არ გამოცხადებისა, ან გაქცევისათვის, და აგრეთვე დეზერტირობის ხელის შემწყობს წამქეზებელს და დამფარველს,—თავისი საკუთარი დადგენილებით, საქმის სათანადო სასამართლოსადმი გადაუცემლად,—მიუსაჯოს: ა) დაპატიმრება 30 დღემდე და ბ) სამსჯავრო (შტრაფნაია) გუნდში მიცემა ვადით 6 თვემდე.

**შენიშვნა:** კომისიის დადგენილება დეზერტირების საქმეთა შესახებ მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში სასამართლოს განაჩენის თანაბრად.

8. საქმე იმ დეზერტირისა, რომელიც ცნობილ იქნება ბოროტებრივ მომქმედად, და აგრეთვე საქმე ასეთი დეზერტირის წამქეზებლისა, ხელისშემწყობისა და დამფარველისა, ცენტრალურ კომისიის მიერ,—უკეთუ იგი სცნობს, რომ ასეთი საქმე აღემატება ზემოგანსაზღვრულ მის კომპეტენციას,—განსახილველად გადაეცემა სათანადო რევოლიუციონურ ტრიბუნალს ან სახალხო სასამართლოს.

9. ყოველ შემთხვევაში, რევოლიუციონურ ტრიბუნალს გადაეცემა შემდეგი დეზერტირების საქმე:

ა) ვინც განერიდება ნამდვილ სამსახურში გაწვევას მობილიზაციის დროს;

ბ) ვინც თავის ნებით დატოვებს ნაწილს ფრონტზე წასასვლელად ბრძანების გამოცემის შემდეგ.

გ) ვინც შეპყრობის დროს წინააღმდეგობას გასწევს.

დ) ვინც გაქცევის დროს გაიტაცებს სახელმწიფო ტანისამოსს, გარდა იმისა, რასაც თან ატარებს ან და წაიღებს იარაღს, ან საჭურჭლეს;

ე) ვინც აქეთვნის საკამანდო შემადგენლობას;

ვ) ვინც შეერთებულნი არიან შეიარაღებულ ბანდებათ;

ზ) ვისაც ექნება წინასწარ შეცნობით ყალბი დოკუმენტები და საქმე დეზერტირების დამფარველთა შესახებ:

ა) ვინც მოქმედებს ორგანიზაციულად;

ბ) ვინც მოქმედებს ანგარიშების მიზნით და

გ) ვინც საბჭოთა თანამდებობაზე ყოფნის დროს ისარგებლებს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით დაფარვისა ან დეზერტირებისათვის ხელისშესაწყობად.

10. დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნილებათა შეუსრულებლობისა და ამა დებულების მოთხოვნილებათა დარღვევისათვის, ცენტრალურ კომისიას უფლება ეძლევა მისცეს დამნაშავე სათანადო რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამართალში.

11. დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლით გამოწვეულ ხარჯებისა და დეზერტირობასთან ბრძოლისათვის დაარსებულ დამხმარე ორგანოების შესანახად ცენტრალური კომისია გამოითხოვს საჭირო კრედიტს.

12. ამა დებულების განსავითარებლად ცენტრალური კომისია გამოსცემს სათანადო ინსტრუქციებს.

**სამაზრო კომისიების უფლება და მოვალეობა:**

13. დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლი სამაზრო კომისია არის დეზერტირობასთან ბრძოლის ადგილობრივი ორგანო და თავის მოქმედებაში ექვემდებარება ცენტრალურ კომისიას.

14. სამაზრო კომისიის მოვალეობას შეადგენს: ა) დეზერტირობასთან უშუალო ბრძოლა მაზრებში, როგორც გაფრთხილებისა, ისე დამსჯელი ღონისძიებით, რაც ნაჩვენებია ამა დებულების მე 5 მუხლის ე-ს და ვ-ს პუნქტებში; ბ) დეზერტირების შეპყრობა გ) არა ბოროტ გამზრახველ დეზერტირების საქმეთა განხილვა (სუსტი ნებისყოფის გამო) ამა დებულების მე 7 მუხლში აღნიშნულ სასჯელის მისჯის უფლებით; დ) ცენტრალურ კომისიის დავალებით მე-5 მუხლის გ-ს და დ-ს პუნქტებში აღნიშნულ კონტროლისა და მეთვალყურეობის ფუნქციების განხორციელება და ე) დეზერტირების გაგზავნა ცენტრალურ კომისიის მიერ მიცემულ რიგისამებრ.

15. სამაზრო კომისიას,—საჭირო შემთხვევაში, უფლება ეძლევა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, საერთო მოქმედებისა და ადგილობრივ დამხმარე ორგანოების მოსაწყობად—მიიწვიოს სათანადო უწყებათა წარმომადგენელნი და ცალკე პირნი, რომელნიც საჭირონი იქნებიან აღნიშნული კომისიის მუშაობისათვის.

16. დეზერტირობასთან ბრძოლის მოთხოვნილებათა შეუსრულებლობის ყველა შემთხვევას—სამაზრო კომისია აცნობებს ცენტრალურ კომისიას განკარგულებისათვის.

17. სამაზრო კომისიის დადგენილება დეზერტირობის საქმეთა გამო, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ კომისიაში ერთი კვირის განმავლობაში; ცენტრალური კომისია განიხილავს აღნიშნულ საჩივარს 3 დღის განმავლობაში.

18. დებულება ეს შესრულებულ იქნეს ტელეგრაფით.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდ. მოადგილე **ბ. კვირკველია.**

სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი **შ. ელიავა.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სვანიძე.**

1922 წ, თებერვლის 22.

თბილისი—სასახლე.

**განკარგულება ფინანსთა სახალხო კომისარისა**

**საშემოსავლო გადასახადის ასაკრეფად დაწესებულ ვადების გადიდების შესახებ.**

1921 წლის 6 აგვისტოს ინსტრუქციის მეორე ნაწილის მე-5, 6 და 7 პუნქტების შესაცვლელად ფინანსთა კომისარი ადგენს:

გადაიდოს აღნიშნულ პუნქტებში ნაჩვენები ვადები საშემოსავლო გადასახადის ასაკრეფად შემდეგ ნაირად:

1) საგადასახადო ფურცლები უნდა დაურიგდეს გადამხდელებს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1-ლ აპრილისა.

2) უსამართლოდ დაბეგვრისათვის გასაჩივრების შეტანა გადამხდელების მიერ რაიონის სახარჯო განყოფილებებში უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა.

3) აღრიცხული გადასახადი უნდა იქნეს შეტანილი ხაზინაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა.

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **მეზირგანიშვილი.**

20 თებერვალი 1922 წ.

ქ. თბილისი.

**განცხადება ფინანსთა სახალხო კომისარიატისა**

თანახმად ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დეკრეტის № 95 17 თებერვალის 1922 წ. 1, 3—6 და 12 მუხლებისა, ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარი ამით აცხადებს, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებები (სახალხო კომისარიატები, სახელმწიფო მამულები, ნაციონალიზაცია ქმნილი და სხვა წარმოებები) კერძო დაწესებულებები, და აგრეთვე ის ადგილები, სადაც ინახება ან იყიდება საქონელი (საწყობები რკინის გზის სადგურებისა, ნავთსადგურებისა, ბანკებისა, სატრანსპორტო საზოგადოებებისა, კოოპერატიული დაწესებულებებისა და [illegible] ბითუმი და საწყობები [illegible] ბი) საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში და აქვთ: პაპიროსის ქაღალდი ფურცლებათ, სახარინი, წიგნის ნაწარმოები, საზღვარ გარეთიდან შემოტანილი და ადგილობრივი დამზადებული სიგარები და სიგარეტები და აგრეთვე საგნები, რასაც ადევს სააქციზო გადასახადი (სპირტი და სპირტის ყოველგვარი სასმელები, ჩაი, ასანთი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოები, პაპიროზის გილზები და პაპიროზის ქაღალდი წიგნაკებით) მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო დღემდე აქციზ გადაუხდელი, ვალდებულნი არიან შეიტანონ ამის შესახებ განცხადება ორ ცალად ზემოჩამოთვლილ საგნების რაოდენობის აღნიშვნით ქ. თბილისში ფინანსთა კომისარიატის არა პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში (სასამართლოს ქ. № 50) არა უგვიანეს ამა თებერვლის 27-სა, და მაზრებში კი ადგილობრივ სააქციზო ინსპექციებში არა უგვიანეს ამა წლის მარტის 1-ლისა.

ამასთანავე ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი აფრთხილებს ყველას, რომ ის საქონელი, რასაც ადევს აქციზი და არ არის გადახდილი ქართული აქციზით, და ზემოხსენებულ ვადაში ამის შესახებ პატრონები არ განაცხადებენ, ყველა ეს საქონელი ჩაითვლება განზრახ სააქციზო გადასახადისაგან გადამალულად, და ასეთი საქონელი ჩამორთმეული იქნება და პატრონები კი მიეცემიან პასუხისგებაში არსებულ კანონებით.

ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**

ფინანსთა კომისარიატის არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ნ. ლამბარაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

# თბილისის ორგანიზაციების ყველა პარტიულ ამხანაგებს

თბილისის კომიტეტი პარტიული დისციპლინის წესით წინადადებას აძლევს გამოცხადდენ რაიონებში ყოველ კვირას დილის 8 საათზე სამხედრო ვარჯიშობისათვის.

ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ჩაითვლებიან როგორც პარტდისციპლინის დამრღვევნი—პარტიის დეზერტირები.

თბ. კ. მდივანი **ლოლობერიძე.**

# კოოპერატიული საზოგადოება „კახეთის" წევრების საყურადღებოთ

გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას 12 მარტს 1922 წ. ქ. ტფილისში საკუთარ შენობაში (გოგოლის ქ. № 63) დილის 10 საათზე დანიშნულია წევრთა, ჩვეულებრივი

# წლიური საზოგადო კრება

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. წევრთა სიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1920—21 წ. წლიური ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1921—22 წ.წ. ხარჯთ-აღრიცხვისა და მომავალ მოქმედების გეგმისა.
4. მოხსენებანი საბჭოსი.
5. გამგეობისა.
6. სარევიზიო კომისია.
7. არჩევა, ნაცვლად რიგით გასულ, გამგეობის თავმჯდომარისა.
8. ერთი გამგეობის წევრის არჩევა, ნაცვლად თავის სურვილის და გასულ ი. გ. სამადაშვილისა.
9. ერთი საბჭოს წევრის არჩევა.
10. სარევიზიო კომისიის არჩევა.
11. საორგანიზაციო კომისიის მოხსენება ღვინის მწარმოებელ კოოპერატივების და ამხანაგობების შეერთების შესახებ.
12. მიმდინარე საკითხები.

თუ ვინიცობაა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო ეს კრება ვერ შესდგა, მეორე დანიშნულია **ოთხშაბათს 29 მარტს 1922 წელს** დილის 10 საათზე იმავე დარბაზში და თანახმად წესდების 37 § კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(1—1) **გამგეობა.**

# განცხადება

— ქ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1922 წ. თებერვლის 10-ს დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის მაქსიმე თევდორის ძე რემიზოვის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. თბილისის ნოტარიუს ივანე ივანეს ძე სტრახოვის მიერ 1920 წ. აქტის წიგნში, რომელიც ეხება უძრავ ქონებას. ნაწილი 91. გვერდი 54. № 96.

სახალხო მოსამართლე ა. ჩაჩავა.

— სახალხო სასამართლო მე-10 უბნისა ქ. ტფილისისა იწვევს, რათა გამოცხადდეს სასამართლოში ორი თვის განმავლობაში, დღეიდგან ამა განცხადებისა, უგზო უკვალოდ დაკარგულს მარიამ ნიკოლოზის ასული შაპოვალოვის ასული ვასილიევა. როგორც მოპასუხეს ძიებაზე მისი მეუღლისა თევდორე პეტრეს ძე შაპოვალოვისა მათი განქორწინების შესახებ.

სახალხო მოსამართლე (ხელმოწერილია).

# დაიკარგა

— დავკარგე შაბათს, 18 თებერვალს მე-4 რაიონის კომპარტიის მე-6 იაჩეიკის მიერ მოცემული პარტიული წიგნაკი № 340 და აგრეთვე კომუნისტურ რაზმის მიერ მოცემული მოწმობა, სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციიდან პირადობის მოწმობა № 176. ვთხოვ თუ ვინმემ ნახოს, მომიტანოს ბონების დამმზადებელ ექსპედიციაში სასახლის ქუჩა № 7-დი.

ზაქარია მიხეილის ძე მამულაშვილი.

— საფულე 75 ათასი მანეთით და სხვა და სხვა ქაღალდებით და დოკუმენტებით, მათთან ერთათ დავკარგე პირადობის მოწმობა მიცემული 21 ნოემბერს 1921 წ. ორბელის თემის რევკომისაგან. მნახველს ვსთხოვ საფულე და ფული დაიტოვოს და მოწმობა და სხვა დოკუმენტები დამიბრუნოს, შემდეგი მისამართით: მე-9 უბანი, საეკლესიო ქუჩა № 11. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაცხადებ გაუქმებულად.

ალექსანდრე ხევცურიანი.

— დაიკარგა საბუთები: პასპორტი ოსიპ გეგამის ძე გეგამიანცისა, ორი პატენტი და ორიც გადასახადის ბარათი, ვაჭრობის ნებართვის ქაღალდი და სამი თვის დუქნის ქირის გადახდის ბარათი და სხვა ქაღალდები ამავე ოსიპ გეგამის ძის გეგამიანცის სახელზე. ზემორე დასახელებული საბუთები გაუქმებულად და გაბათილებულად ჩაითვალოს.



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.